

ახალი ეკონომიკისტი

ISSN 1512 - 4649

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 5, მაისი, 2007 წელი

1591
2007.

ეკონომიკური პოლიტიკა (მთაწრობის,
ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, გულალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,
მენაბრე)

საკანონმდებლო სიახლეები (სამეწარმეო
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალების
პასუხები

შ.პ.ს. **ტაია**
ლთი

მიბაღო-კლასიკის
ქარ-ფანჯრები

პროფილები

ქსენოპრები

ღაზბა-დანადგარები

www.taia.ltd.ge

e-mail: taia.ltd@mail.ru

3-28-28, 899 45-66-93, 898 25-97-70 ტაია ჯორჯია №1



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი № 5 მაისი, 2007
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE № 5 May, 2007

თავარი რედაქტორი:
ლოიდ ქარჩავა

სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი:
თემურ შენგელია

სარედაქციო კოლეგია

საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ავთანდილ სილაგაძე

ლემო ჩიქავა,

კე. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:

გივი გამსახურდია, სიმონ ბელაშვილი, რევაზ გველესიანი, ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია), შოთა ვეშაპიძე, ნუზარ თოდუა, გოჩა თუთბერიძე, მერაბ კაკულია, რევაზ კაკულია, ჰარალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია), რევაზ მანველიძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მეგვაბიშვილი, მირიან თუქაშვილი, მზია ღებურია, ლამარა ღოჭიაური, ლარისა ნაშვილი, მიხაელ ჩიქვილაძე, გიორგი ტსერეთელი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი, მერაბ ხმალაძე, ჯამლეთ ჯანჯავაძე.

თამაზ ვაშაკიძე (მცირე მეწარმეთა კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეწარმეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი), გიორგი ისაკაძე (საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი), დავით ნარმანია (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, კე. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი), ზვიად როგავა (იურისტი), ედიშერ ქარჩავა (იურისტი)

Editor-in-Chief:
LOID KARCHAVA

Editor of the Scientific part:
TEMUR SHENGELIA,

EDITORIAL BOARD

Corresponding-members of Academy of Science of Georgia:

AVTANDIL SILAGADZE, LEO CHIKAVA,

Dr. Prof. of Economics:

GIVI GAMSAKHURDIA, SIMON GELASHVILI, REVAZ GVELESIANI, WOLFGANG WENG (Berlin, Germany), SHOTA VESHAPIDZE, NUGZAR TODUA, GOCHA TUTBERIDZE, MERAB KAKULIA, REVAZ KAKULIA, HARALD KUNZ (Brandenburg, Germany), REVAZ MANVELIDZE, JAKOB MESKHIA, ELGUJA MEQVABISHVILI, MIRIAN TUKHASHVILI, MZIA QEBURIA, LAMARA QOQIAURI, LARISA KORGANASHVILI, MICHAEL CHIKVILADZE, GIORGI TSERETELI, NODAR KHADURI, ELENE KHARABADZE, ETER KHARAISHVILI, MERAB XMALADZE, JAMLET JANJGAVA.

TAMAZ VASHAKIDZE (Manager of Club of Small Entrepreneurs, Executive Director of Union of Georgian Entrepreneurs), GIORGI ISAKADZE (Executive Director of Federation of Georgian Businessmen), DAVID NARMANIA (Chairman of Board of Association of Young Economists of Georgia, Dr. Prof.), ZVIAD ROGAVA (Lawyer), EDISHER KARCHAVA (Lawyer).

სახელი ეკონომისტი

შპსი 4 ლარი

მისამართი: ფურცელაძის ქ. №13
ტელ: 984-982/990-576
მზბ: 8(55)277-554
ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge



რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. ინფორმაციის სისუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე სახით გამოყენება დაუშვებელია.



შინაარსი

მენეჯერება

თეიმურაზ შენგელია, ია ყოლბაია – დაგროვების ახალი პარადიგმა-ინვესტიციები აღამიანურ კაპიტალში 5

დავით ნარმანი, ელგუჯა ხოპრიშვილი – საქართველოს საგადასახადო სისტემა. 9

სლავა შუტელავა – მსჯელობა ქართული საკონკურენციო სამართლის სრულყოფის საკითხებზე 17

გულნაზ ერქომაიშვილი – ინოვაციები და ბრენდის შექმნის საშუალებები 21

ჯამლუტ ჯანჯღავა – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ტენდენციები საქართველოში 26

სახლი ეკონომისტი

თეოლოგიური ეკონომიკა

ბიორბი შიხაშვილი – მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური გან-
viT arebis er o vnul i koncef ciis bibl iuri saf uZvl ebi . . . 30

კითხვა-პასუხი. 34

საკანონმდებლო სიახლეები 35

ბიზნესის ბაზუქა

“აღმასის საბადო” ანუ თქმულება ალი ჰაფედის შესახებ 60

ჩვენი ავტორები 62

UDC(უაკ) 33+338.22
ა - 984

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2007 წ.,
© გამომცემლობა „ლოი“



მეცნიერება

დაბროვების ახალი პარადიგმა-ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში*

თეიმურაზ შენგელია

ია ყოლბაია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის გამგე, „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების ხელმძღვანელი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

25664

ახალი ეპონომისტა

საქართველოს საწარმოების რესტრუქტურისაცია, რომელიც მოწოდებულია რადიკალურად შეცვალოს მათი საწარმოო აპარატი, ორგანიზაცია და მართვა, ეკონომიკური მექანიზმი, წარმოადგენს ჭეშმარიტად ისტორიულ ამოცანას. თანამედროვე უტაჰზე დიდი რაოდენობით არამომგებიანი საწარმოების არსებობა განაპირობებს არა მარტო საბაზრო გარდაქმნების გაჭინაურებას, არამედ, არსებითად განსაზღვრავს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ბუნდოვან პერსპექტივებს.

საქართველოში პოსტსაბტორული რეფორმებმა ცხადყო, რომ მცდარია წარმოდგენა, ეკონომიკური სისტემის ცვლილების კვალობაზე საწარმოთა ავტომატური რესტრუქტურისაციის შესახებ. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოსტრეგიტივიზაციის პერიოდში სტრატეგიული ინვესტიციების მიძიებას მთლიანად კაპიტალის ბაზარი უზრუნველყოფდა, არ გამართლდა. მართვის პროგრესული მეთოდებისა და ფორმების გამოყენება თითოეულ საწარმოში დამოკ

იდებულია არა პრივატიზაციის ტემპებზე, არამედ მის ხარისხზე.


ეკონომიკის ფართომასშტაბიანი სტრუქტურული რეორგანიზაცია, სიღრმისეული მიკროეკონომიკური გარდაქმნები და ფუნდამენტური ინსტიტუციური რეფორმები წარმოადგენს არა მარტო საბაზრო გარეშოს ფორმირების გადაწყვეტ პირობას, არამედ – მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მთლიანად ეკონომიკის ცივილიზებული განვითარების ფაქტორს.

წარმოების ინფორმაციული ხაზისა და მეცნიერულ-ტექნიკურ ცვლილებებთან მიმართებაში მართვის ხარისხობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ უახლეს გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ცოდნის ახალი ფუნქციისა და მართვის მექანიზმის წარმოქმნა. საუბარია ინტელექტუალური კაპიტალის აკუმულირებაზე საწარმოთა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რეკოლუციური ცვლილებების პირობებში, ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება და მზარდი პროფესიონალური კომპეტენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ცხოველქმედებასა და წარმატებულ განვითარებას.

ადამიანური კაპიტალის თეორიის აღმოცენებამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არანეიტობრივი დაგროვების მზარდი როლი განაპირობა ადამიანური

* მსგავს კონცეპტუალურ ფორმულირებას ვხვდებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის ლეონიდ ივანეს ძე აბალკინის რედაქციით გამოშვებულ წიგნში: Курс переходной экономики / Под ред. акад. Л.И.Абалкина. М.: ЗАО «Финстатинформ», 1997, с. 310.

საქართველოს
წარმოების
ეკონომიკის
და ბიზნესის
ფაკულტეტი



ე

ახალი ეკონომისტი

კაპიტალის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ყველა მწარმოებლური უნარის ერთობლიობა, მაშასადამე ეს ცნება მოიცავს ცოდნისა და ჩვევების შექმნას, აგრეთვე – ეკონომიკური კეთილდღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ენერჯიასა და მოტივაციას.¹ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ძირითად ფორმებს მიაკუთვნებენ: განათლებას, აღზრდას, ჯანდაცვას, აგრეთვე დანახარჯების მთლიან კომპლექსს, აგრეთვე დანახარჯების მთლიან კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის წარმოებაში ჩართვისათვის მოსამზადებლად. ამგვარად, ადამიანური კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და მომავალში უფრო მაღალი შემოსავლების წყარო გახდეს.²

თუ 90-იან წლებში ეკონომიკური ზრდის პრობლემების მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგებს შევაჯამებთ,³ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა მკვლევარი მაკროეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად განათლებას განიხილავს. ამ ფაქტორმა, თანამედროვე პირობებში, მეორე პლანზე გადაიყვანა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადები, როგორცაა დანახოგები, ინვესტიციები და მსახლეობის ზრდა. ეკონომიკური განვითარების წარმატებულ მოდელების, ან უარეს შემთხვევაში, ამ მოდელების ცალკეული ფრაგმენტების იმიტირების საფუძველად შედეგები ისტორიაში კარგადაა ცნობილი. გამონაკლისია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებმაც განვითარების იაპონური სასწაულები მოახდინეს.


განვითარების სამხრეთ-აზიურ მოდელებში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებად არა მხოლოდ უცხოური ინ-

ვესტიციების მოზიდვა, არამედ მსროფლიონში ფართოდ გამოყენებული უახლესი მაღალი ტექნოლოგიების შეთვისება და დანერგვა განსაზღვრული. აზიის ქვეყნებში განათლებასა და სამუშაო ძალის მაღალ კვალიფიკაციაზე აქცენტის გადანა განაპირობა იმპორტის შემცველი ინდუსტრიული სექტორის პოლიტიკიდან ექსპორტის მასტიმულირებელ პოლიტიკაზე გადასვლამ. მიუხედავად იმისა, რომ აზიის ქვეყნების უმრავლესობის შედარებით უპირატესობას იაფი სამუშაო ძალა წარმოადგენდა, მორჩილების თავიდან ასაცილებლად, მათ მაღალ ტექნოლოგიებზე, ინტელექტუალურ კაპიტალზე და მეცნიერებატყვადი და კაპიტალ-ტყვადი პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა აირჩიეს.⁴

აზიის ქვეყნების მიერ განათლებასა და მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტირების სტრატეგიის ხორცშესხმის შედეგად, რეგიონის ქვეყნები ცნობილი არიან ე.წ. „პროცესის ინოვაციით“ ან უკვე არსებული პროდუქტების წარმოების პროცესის პერმანენტული დახვეწით, არსებული ტექნოლოგიებისთვის ახალი თვისებების მინიჭებით. სწორედ ამ პროცესებს მოჰყვა აზიის ახლადინდუსტრიალიზებული ქვეყნების საკუთარი გამოგონებები, ახალი საბაზრო ნიშნების შექმნა და საექსპორტო პროდუქციის წარმოება, რომელიც უცხოური ვალუტისა და დადებითსაღმდოიანი საგადასახდო ბალანსის მუდმივი წყარო გახდა.

¹ Barro R. Economic Growth in a Cross section of Countries. *Quartely Journal of Economics*, 2005, vol. 106, №2; Mankiw G., Rower D., Weil D.A., Contribution to the Economics of Economic Growth; Knight M., Loayza N., Villanueva D. Testing the Neoclassical Theory of economic Growth. IMF staff papers, 1993; Levine R., Renelt D. A Sensitiving Analysis of Cross-Country Growth Regressions. *American Economic Review*, 1992, September; Levine R., Zervos S. What We Have about Policy and Growth from Cross-Country Regressions-*American Economic Review*, 1993, May.

1 Нуреев Р. Теория развития: новые модели экономического роста (вклад человеческого капитала). *Вопросы экономики*, №9, 2000, с.144.
2 Нуреев Р. Теория развития: новые модели экономического роста (вклад человеческого капитала). *Вопросы экономики*, №9, 2000, с.145.



რატომ არ ჰქონდა რადიკალურ ლიბერალურ რეფორმებს მსგავსი შედეგები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში?

პირველყოფლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც კულტურული და ისტორიული მეკვიდრეობის, ასევე ეკონომიკური განვითარების არჩეული სტრატეგიის თვალსაზრისითაც ეს ორი რეგიონი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან: აზიის ქვეყნების უმრავლესობა არ იყო კომუნისტური; მათ ჰქონდათ იაპონიის ეკონომიკური განვითარების სქემა და ამავე დროს, მისი დიდი მხარდაჭერა; აზიის ქვეყნები (საკუთარი სურვილით) გაცივლებით ნაკლებად იყვნენ მიჯაჭვულნი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე; მათი რეფორმები გრადუალისტური იყო და არა რადიკალური.

პოსტკომუნისტური საზოგადოება კი სრულიად მოუშადადებელი

შეხვდა რადიკალურ რეფორმებს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს. სამართლებრივმა ქაოსმა და დაჩქარებულმა პრივატიზაციამ წარმოშვა კერძო მესაკუთრეთა ფენა, რომელიც თითქმის სახელმწიფო მოხელეთა ფენის იდენტური აღმოჩნდა. ამ უკანასკნელთა მოკლევადიანმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა იმდღავრა ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ინტერესებზე და ადამიანურ კაპიტალში ინვესტორების, ანუ განათლების, პოლიტიკურად საკმაოდ არაპოპულარული სფეროს, დაფინანსების პრობლემებმა თითქმის უკანასკნელ პლანზე გადაინაცვლა.⁴

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა განათლების საერთო დონით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ფაქტობრივად ყველა სფეროში ქართველი მეცნიერები პრევალირებდნენ ყოფილი სსრკ-

ს სივრცეში (და არა მარტო აქ). ბუნებრივია, რომ ქვეყანაში ეხლაც შემორჩენილია ათწლეულების მანძილზე აკუმულირებული ცოდნის მარაგი, რომელიც შემდგომ განახლებასა და განვითარებას საჭიროებს. მთავარი პრობლემა, რომელიც ამ თვალსაზრისით შეიძლება წამოიჭრას, ეს არის ფსიქოლოგიური მომენტი. ცოდნის შექნა, აკუმულირება, განვითარება და გამოყენება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ პროცესში საინვესტიციო სახსრებით წარმართვის მიზანშეწონილობას. საქმე ისაა, რომ რაციონალური ინდივიდი (ან მთლიანად საზოგადოება) აფასებს დანახარჯებსა და სარგებელს, რაც ხშირად ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომელიც მხოლოდ მიმდინარე, მოკლევადიან მიზნებს ემსახურება.

განათლება საშუალებას იძლევა ავითვისოთ არა მარტო ძველი, უკვე დაგროვილი ცოდნა, არამედ შრომის პროცესში ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნას, აგრეთვე უზრუნველყოფს პირობებს მათი მომავალში წარმოებისთვის. ამიტომ განათლება უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკის წინმსწრები ფაქტორი, რომელიც მომავალი პროგრესის წინამძღვრებს შექმნის.

ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ადამიანური კაპიტალის აღიარებულმა მნიშვნელობამ განაპირობა მისი დაჩქარებული ფორმირების საინვესტიციო პროგრამების ფართო გავრცელება. განვითარებად ქვეყნებში ეს გამოხატება ძირითადად დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის განვითარებაში, რომელიც განიხილვებოდა, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი ფაქტორი. მართლაც, გაუნათლებლობის აღმოფხვრა წარმოადგენს ეროვნული შრომის ნაყოფიერების

ახალი ეკონომიკის

⁴ Ethan B. Kapstein. Winners and losers in the Global Economy, International Organization, 54,2, 2000, p. 359-384.

⁵ The Asian Miracle an Modern Theory- Richard r. Nelson, The World Bank Paper, 1997, p.57.

⁶ ახვლედიანი ა. ეკონომიკური ზრდის აზიური მოდელი და ლიბერალური რეფორმები პოსტკომუნისტურ სივრცეში: +შედეგები, გაკვეთილები. უ. „ეკონომიკა“, 2001, №7, გვ. 4.



ამაღლებს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ინტელექტუალური და საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე, სტიმულების არარსებობამ, მისი უდიდესი ნაწილის უცხოეთში გადინება განაპირობა. ეს პროცესი კიდევ უფრო აღრმავებს ეკონომიკურ კრიზისს და ნაკლებსააღბათოს ხდის ქვეყნის წარმატებულ მომავალს.

ამდენად, განვითარებდ და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) სწორედ ადამიანური რესურსები განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპებსა და ხასიათს. ქვეყანა, რომელსაც არა აქვს უნარი განავითაროს მისი მოქალაქეების ცოდნა და შესაძლებლობები, განწირულია ეკონომიკური კრახისათვის. კაპიტალი და მიწა, ეს მხოლოდ პასიური ფაქტორებია, ხოლო ხალხი (რომლებიც ფლობენ საერთო და სპეციალურ პროფესიონალურ ცოდნას) წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ყველაზე უფრო აქტიურ ფაქტორს. ამ ფორმით

მათი ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება როგორც განათლების ფორმალური სისტემის. სრულყოფა, ასევე მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება. განათლება წარმოადგენს მხოლოდ პოტენციურ ფაქტორს, მომავალი ეკონომიკური ზრდის წინამძღვარს. იგი განვითარების წყარო ხდება მაშინ, როცა

შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად გამოყენება, ანუ როცა შექმნილია მისი პრაქტიკული რეალიზაციის წინამძღვრები. ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან დღეისათვის განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების ხარჯების დიდი ნაწილი სწორედ განათლებაზე მოდის.

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოაღნიშნული პარადოქსალური სიტუაცია შეიძლება საქართველოში. უზარმაზარი თანხები იხარჯება საშუალო და უმაღლეს განათლებაზე, თუმცა ვისთვის ამზადებს ქვეყანა მომავალ პროფესიონალებს მეტად გაუგებარია. საჭიროა კი ქვეყანაში ამდენი უმაღლესგანათლებული, თუ ბაზრის მხრიდან არ იქნება შესაბამისი მოთხოვნა? და თუ იქნება, ალბათ ეს ქართული ბაზარი კი არა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, უცხოური, შრომის მაღალი ანაზღაურებით გამოირჩეული ქვეყნების ბაზრები იქნებიან. ბუნებრივია იზადება კითხვა: მაშინ ვინ დარჩება საქართველოში? ალბათ, ის ვინც უცხოელ ინვესტორს იაფი სამუშაო ძალით დააინტერესებს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის დამღუპველი ქვეყნისთვის. საქართველოში მოშლილია ადამიანური კაპიტალის აღწარმოების პროცესი, ანუ პროცესი, რომელიც ცოდნის აკუმულირებას არა როგორც კაპიტალისტური წარმოების შედეგს, არამედ როგორც მის ამოსავალ პუნქტს განიხილავს.

SUMMARY

The stimulation of foreign investment in Georgia should be done not from the point of view of some separate braches or territorial units, but first of all by taking into consideration the effective usage of Georgian human capital. All over the country there should be a thorough support for the foreign investment that means not the inculcation of second technologies, but including Georgian intellectual potential into the world economic processes, the high income of Georgians, the increasing of the legal business effectiveness and providing the firm tendencies of country welfare.

ახალი ავონომისა

საქართველოს საგარეო საზღვარსაგარეო სისტემა



**დავით
ნარმანიძე**
ეკონომიკურ
მეცნიერებათა
კანდიდატი,
თსუ პროფესორი



**ელგუჯა
ხოკრიშვილი**
გერმანიის
ქ. პოტსდამის
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ახალი ეკონომისტი“ №1, 2006წ; №1, 2, 3-4, 2007წ)

საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლი.

საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგარეო საზღვარსაგარეო ორგანო. აუცილებლობის შემთხვევაში, საგარეო საზღვარსაგარეო ორგანო გადასახადის გადამხდელის/საგარეო საზღვარსაგარეო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლს ახორციელებს ოპერატიული-სამხედრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს (ფინანსური პოლიციის ან სხვა ორგანოს) თხოვნით, რისთვისაც საგარეო საზღვარსაგარეო ორგანო მოსამართლის ბრძანებით მოიპოვებს საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლის უფლებას. სასამართლოში საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლის შესახებ შუამდგომლობას აღძრავს ოპერატიული-სამხედრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც მოსამართლეს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას გადასახადის გადამხდელის/საგარეო საზღვარსაგარეო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების შესახებ. მოსამართლე საკითხს განიხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე.

საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლი მოიცავს მიმდინარე კონტროლის პროცედურებს (გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვას, გადასახადის გადამხდელისაგან ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნას, ზოგად ანალიტიკურ პროცედურებს),

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვებას (ქრონომეტრაჟს, საკონტროლო შესყიდვას, ინვენტარიზაციას, დათვალიერებას) და საგარეო საზღვარსაგარეო შემოწმებას (კამერალურსა და გასვლითს). თუ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადები განისაზღვრება საბაჟო პროცედურების მიხედვით, საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლი ზორციელდება აგრეთვე საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

საგარეო საზღვარსაგარეო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის მიმართ გამოიყენოს საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლის ფორმები და მეთოდები მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, გარდა:

- მიმდინარე კონტროლის პროცედურებისა;
- გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების პროცედურებისა;
- კამერალური საგარეო საზღვარსაგარეო შემოწმებისა;
- გეგმური გასვლითი საგარეო საზღვარსაგარეო შემოწმებისა;

➢ იმ საკონტროლო გასვლითი საგარეო საზღვარსაგარეო შემოწმებისა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან;

➢ გადაუდებელი საკონტროლო-გასვლითი საგარეო საზღვარსაგარეო შემოწმებისა.

საგარეო საზღვარსაგარეო კონტროლი



მოსამართლე გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო შემოწმების შესახებ ბრძანებას გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეკვით აღნიშნული პირების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტების შესახებ. თუ მოსამართლე არ გასცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო შემოწმების შესახებ, გადასახადის გადამხდელის აღნიშნული შემოწმება არ ჩატარდება.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურები ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის მოტივირებული ბრძანებით, ამის თაობაზე გადასახადის გადამხდელის წინასწარ შეტყობინების გარეშე. ბრძანებაში უნდა მიეთითოს აღნიშნული პროცედურების ჩატარების პერიოდი (მისი დაწყებისა და დასრულების ვადები) და პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალი.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებს უნდა ესწრებოდეს გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – მოწვეული სპეციალისტი.

საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსცეს აქტიური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანება (არააქტიური საქონლის მფლობელი პირის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის ბრძანება შეიძლება გაიცეს კალენდრული წლის განმავლობაში არა უმეტეს 3-ჯერ). აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელმა (დირექტორმა) ინვენტარიზაციის გონივრულ ვადაში ჩატარების მიზნით უნდა შექმნას საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისიაში უნდა შევიდნენ ის

პირები, რომლებიც კარგად იცნობენ საინვენტარიზაციო ქონებას, იციან მისი ფასი და პირველადი აღრიცხვა. აღნიშნული კომისია ვალდებულია სრულად და დროულად აღრიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოებისა და მათი შენახვის ადგილზე და შეუდაროს აღრიცხვის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის მონაცემებს და ყოველივე ეს შეიტანოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმში. (საგადასახადო შემოწმება, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი).

კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად. ასეთი ტიპის შემოწმების უმთავრესი მიზანია საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, განგარიშგებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კალდებულბათა შესრულების შესაბამისობის დადგენა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. თუ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილი შეცდომები იწვევს გადასახადის თანხის ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), მაშინ კამერალური საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო შემოწმების აქტს და აწერს ხელს მასზე. აღნიშნულ აქტს ამტკიცებს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე.

გასვლითი საგადასახადო შემოწმებით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გადასახადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრული ან შერჩევით შემოწმება. გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება მოიცავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვ-

ახალი მკონომისტი

მეცნიერება

ბის საგადასახადო კონტროლის პროცედურებსაც. გავსვლითი საგადასახადო შემოწმების დანიშნულების შესახებ ბრძანებას უნდა დაეთოს გავსვლითი საგადასახადო შემოწმების პროცესში შესასრულებელ სამუშაოთა გეგმა. გავსვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ გადასახადის გადამხდელის სამუშაო საათებში ან/და ფაქტობრივი მუშაობის დროს.

გავსვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს გვეგური ან საკონტროლო. გვეგური გავსვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, კალენდრული წლის განმავლობაში არა უმეტეს ერთხელ, რის თაობაზედაც გადასახადის გადამხდელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება 10 დღით ადრე. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გვეგური გავსვლითი საგადასახადო შემოწმების საფუძველი და საგანი, ასევე შემოწმების ჩატარების სავარაუდო დრო. საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე. საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის ან გადაუდებელი საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე, თუ:

▶ ბოლო საგადასახადო შემოწმებისას გამოვლინდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები ან არსებობს სხვა ფაქტები, რომლებიც ადასტურებს ასეთი დარღვევების შემთხვევებს;

▶ არსებობს სანდო ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გადასახადის გადამხდელის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმოშობას;

▶ არსებობს სანდო ინფორმაცია ქონების ან საგადასახადო დასაბეგრი სხვა ობიექტის დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ;

▶ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგვრის ობიექტებისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალობა;

▶ წარდგენილი არ არის საგადასახადო დეკლარაცია ან გადასახადის გამოსანგარიშებლად ან/და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები.

საგადასახადო ორგანოს გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს უფროსი წერილობითი ბრძანების საფუძველზე უფლება აქვს წინასწარი შეტყობინების გარეშე ჩატაროს გადაუდებელი საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმება. **გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა ღვეტა**, როდესაც საგადასახადო ორგანო ჩათვლის, რომ გადასახადის გადამხდელი გვეგვს, თავი აარიდოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გავსვლით, აქტივების სხვა პირისათვის გადაცემით, საგადასახადო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ან/და სხვა ღონისძიებების გატარებით. საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადაუდებელი საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებიდან 48 საათში მიმართოს და ნებართვა მიიღოს სასამართლოსაგან საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ. სასამართლოს ნებართვის მიღებამდე საგადასახადო შემოწმების ჯგუფის წევრებს უფლება არა აქვთ დაიწყონ გადაუდებელი საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმების პროცედურები. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ მხოლოდ დასახადო გადასახადის გადამხდელის ის საგადასახადო დოკუმენტები და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომელიც აუცილებელია საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემოწმების ჩატარებისათვის.

საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას ღვეტა ოქმი. ოქმი ღვეტა სახელმწიფო ენაზე. ოქმში უნდა აღინიშნოს:

- ▶ მისი დასახელება;
- ▶ კონკრეტული მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი;

საგადასახადო კონტროლი

მეცნიერება

უ

► მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო;
► ოქმის შემდგენი პირისა და იმ პირის (პირების) თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საკონტროლო მოქმედება;

► მოქმედების მონაწილეთა სახელი და გვარი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - მათი მისამართი;

► მოქმედების შინაარსი და მისი ჩატარების თანამდებობა;

► მოქმედების განხორციელებისას გამოვლენილ საქმესთან დაკავშირებული არსებითი ფაქტები და გარემოებები.

ოქმი გასაცნობად წარედგინება მოქმედების წარმოებაში მონაწილე ყველა პირს. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს ოქმის შემდგენი პირი, საგადასახადო კონტროლის (საგადასახადო შემოწმების გარდა) პროცედურის განმახორციელებელი პირები და გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტი (თუ მონაწილეობს საგადასახადო კონტროლის პროცედურებში). გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის შემთხვევაში ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

ახალი აპონომისტი

საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ დგება აქტი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

► აქტის შედგენის თარიღი და ადგილი (დასახლებული პუნქტის დასახელება);

► შემოწმებულ პირთა ვინაობა და თანამდებობა;

► შემოწმების ფორმალური საფუძველი (საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის/მისი მოადგილის ბრძანება ან სასამართლოს გადაწყვეტილება (თარიღი და ნომერი);

► შემოწმების ვადა და პროგრამა;

► შესამოწმებელი სუბიექტის ვინაობა (დასახელება), საიდენტიფიკაციო ნომერი, სასამართლო

და საგადასახადო რეგისტრაციის თარიღები და ნომრები, სხვა რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში);

► შესამოწმებელი სუბიექტისათვის მისი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ განმარტებითი ბარათის ჩაბარების ფაქტი (გასვლითი საგადასახადო შემოწმებისას);

► შესამოწმებელი სუბიექტის მხრიდან შემოწმების მონაწილე პირთა (ღირექტორი (ხელმძღვანელი), ბუღალტერი, აუდიტორი, ადვოკატი და სხვა) ვინაობა და თანამდებობა (გასვლითი საგადასახადო შემოწმებისას);

► შემოწმების ფაქტობრივი საფუძველები და მათ დასაბუთება;

► შემოწმების შედეგების შემოწმების პროგრამის თითოეული პუნქტის მიხედვით - გადასახადის გადამხდელის მიმართ მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობის ზუსტი თარიღები (თუ ამის დადგენა შესაძლებელია), გადასახადის ოდენობა, საურაგებისა და ჯარიმების გაანგარიშება, ჯამურად გადასახდელი ან მისაღები თანხა, იმ დოკუმენტების რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში - ასლები), რომლებითაც დასტურდება ამ მოთხოვნებისა და ვალდებულებების წარმოშობა; აქტის დანართების შინაარსი;

► ის საკითხები, რომელსაც არ ეთანხმება გადასახადის გადამხდელი (გასვლითი საგადასახადო შემოწმებისას);

► მოტივანად გადასახდელი ან მისაღები თანხა - ძირითადი ვალდებულება, ჯარიმა, საურავი.

საგადასახადო შემოწმების აქტს ხელს აწერენ: საგადასახადო ორგანოს მხრიდან - საგადასახადო შემოწმების ჯგუფის წევრები, გადასახადის გადამხდელის მხრიდან: ღირექტორი (ხელმძღვანელი), ბუღალტერი, აგრეთვე აუდიტორი და ადვოკატი, თუ ისინი მონაწილეობას იღებდნენ საგადასახადო შემოწმების პროცესში. თუ გადასახადის გადამხდელის მხარე უარი განაცხადა ხელის მოწერაზე (გასვლითი საგადასახადო შემოწმებისას), აქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

1. მეტი დეტალიზაციისთვის იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-144 მუხლები.

მეცნიერება

საგადასახადო სამართალ-დარღვევა. საგადასახადო სამართალ-დარღვევად ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოებს/ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს.

საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. საგადასახადო სანქციები გამოიყენება საურავისა და ფულადი ჯარიმის სახით საგადასახადო კოდექსის XVIII თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საგადასახადო სამართალდარღვევათა ერთობლიობისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთან, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სანქციას. საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საურავი. საურავის გადახდა ხორციელდება საგადასახადო დავალიანების თანხაზე დანამატის სახით, საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების ან/და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარების მიუხედავად. საურავი შეადგენს საგადასახადო დავალიანების 0,07 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ითვლება ვადაგადაცილებულ დღედ.

რაც შეეხება კონკრეტულ საგადასახადო კანონდარღვევებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მათი სახეობებია:

- საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად დადგომის წესის დარღვევა;

- საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენა;

- გადასახადების შემცირება;
- შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევა;

- გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობა;

- საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირთათვის წინააღმდეგობის გაწევა;

- ყადაღადანებული ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან/და ვანკარგვის წესის დარღვევა;

- საგადასახადო ორგანოსათვის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობა;

- გადასახადის არასწორი ჩათვლა ან დაბრუნება;

- მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევა;

- დღე-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;

- გადასახადის გადარიცხვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებისა და გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საგადასახადო დავალების შესრულების ვადის დარღვევა;

- ბანკების მიერ გადასახადის გადამხდელისათვის ანგარიშის გახსნის წესის დარღვევა და გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა;

- დოკუმენტების გარეშე მატერიალური ფასეულობის ტრანსპორტირება (გადაზიდვა) და აღურიცხაობა.

საგადასახადო ღირებულება. საგადასახადო დავის დაწყების მატერიალური საფუძველია საგადასახადო ორგანოს ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების დარღვევა. საგადასახადო დავის დაწყების ფორმებია:

მეცნიერება

ახალი ამონაგონი

- დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით;
- დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი/მისი მოადგილე ვალდებულია გადასახადის გადასმხდელი/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის შესაგებლის მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილოს იგი და გამოსცეს მოტივირებული ბრძანება შესაგებლის დაკმაყოფილების ანუ დავის შეწყვეტის შესახებ, შესაგებლის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და არა უგვიანეს ბრძანების გამოცემიდან მე-3 დღისა გაუგზავნოს იგი შესაგებლის წარმომადგენს. საგადასახადო ორგანოში დავა განიხილება მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილეობით. განხილვისთვის დანიშნულ დროს მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავა განიხილება მის გარეშე. შესაგებლის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია, არა უგვიანეს ბრძანების გამოცემიდან მე-3 დღისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს გადასცეს „საგადასახადო მოთხოვნა“ და შესაგებელი თანდართული მტკიცებულებებით, ხოლო გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ბრძანებასთან ერთად გაუგზავნოს შესწორებული „საგადასახადო მოთხოვნა“ (თუ მოხდა მისი შესწორება) და დამატებითი მტკიცებულებები (თუ არსებობს ისინი). თუ საგადასახადო ორგანო ვალდებულ ვადაში არ გამოსცემს შემოადანიშნულ ბრძანებას ან გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არ გაუგზავნის მას, ეს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის შესრულებაზე უარს ნიშნავს.

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის/მისი

მოადგილის ბრძანება (ამ ბრძანებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებიდან 5 დღის ვადაში), გაასაჩივროს:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში;
- სასამართლოში, თუ მის შესაგებელში ასე იყო აღნიშნული.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისათვის წარდგენილ საჩივარში უნდა აღინიშნოს, დავის შემდგომი გაგრძელების შემთხვევაში დავის გადაწყვეტის რომელ ფორმას ირჩევს მომჩივანი.

თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრებს:

- საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის/მისი მოადგილის ბრძანებას ან შესაგებელს, საგადასახადო მოთხოვნამ აღიარებულად ჩაითვლება და იგი მიექცევა აღსასრულებლად, ხოლო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნამ ჩაითვლება გაუქმებულად;

- საგადასახადო ორგანოს უარს (თუ მან დროულად არ მიიღო საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება), „საგადასახადო მოთხოვნა“ აღიარებულად ჩაითვლება და იგი მიექცევა აღსასრულებლად, ხოლო „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ ჩაითვლება გაუქმებულად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი ვალდებულია საჩივრის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ანუ დავის შეწყვეტის შესახებ, საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ და არა უგვიანეს გადაწყვეტილების მიღებიდან მე-3 დღისა გაუგზავნოს იგი მომჩივანს და იმ საგადასახადო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც იყო გასაჩივრებული.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში დავა განიხილება მომჩივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილე-

მეცნიერება

ობით. განხილვისთვის დანიშნულ დროს მომხივნის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დავა განხილვა მის გარეშე. დავის განხილვის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი უფლებამოსილია:

- გააუქმოს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება;
- გააუქმოს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება;
- არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

გადასახადის გადახდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გადაწყვეტილება (ამ გადაწყვეტილებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებიდან 5 დღის ვადაში) გაასაჩივროს:

ა) საბჭოში, თუ მის საჩივარში ასე იყო აღნიშნული (ამ შემთხვევაში მან წარდგენილ საჩივარს უნდა დაურთოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისათვის წარდგენილი ყველა მასალის ასლი და დამატებითი მტკიცებულებები, მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ) სასამართლოში, თუ მის საჩივარში ასე იყო აღნიშნული.

საბჭო დავას იხილავს საჩივრის მიღებიდან 15 დღის ვადაში თავის სხდომაზე.

დავის განხილვის საფუძველზე საბჭო უფლებამოსილია:

- გააუქმოს საგადასახადო ორგანოს ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გადაწყვეტილება;
- გააუქმოს საგადასახადო ორგანოს ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გადაწყვეტილება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილება;
- გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

საბჭო ვალდებულია გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი არა უგვიანეს 5 დღისა გაუგზავნოს ან პირადად ჩააბაროს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს. თუ საბჭო განსაზღვრულ

ვადაში არ მიიღებს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას ან გადასახადის გამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არ გაუგზავნის მას, ეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარს ნიშნავს.

გადასახადის გამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოში წარდგენილი საჩივარი განხილვა და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

ბამოიწერეთ

საგადასახადო

ეკონომისტი

აქ წაიკითხავთ შემდეგ სიახლეებს:

- ეკონომიკა და ბიზნესი;
- ადრიცხვა და გადასახადები;
- ბანკები და ფინანსები.

თქვენ ასევე შეგიძლიათ:

- მოგვეწეროთ თქვენი შეხედულებები;
- დაგვისვით შეკითხვები;
- გამოგვიგზავნოთ სტატიები.

ჩვენ ყველაფერს გავითვალისწინებთ.

ხელმოწერის ღირებულება:

3 თვე -	24 ლარი
6 თვე -	48 ლარი
9 თვე -	72 ლარი
12 თვე -	96 ლარი

ჩვენი რეკვიზიტებია:

თბილისი, ფურცელაძის ქ. №13
ტელ.: 822 984 982 / 855 277 554
ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge

ახალი ეკონომისტი

მეცნიერება

მსჯელობა ქართული საკონსტრუქციო სამართლის სრულყოფის საკითხებზე

სლავა ვეტილავა

პაატა გუგუშვილის სახელობის
უნივერსიტეტი ლექტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის
სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი



სლავა ვეტილავა

კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ თეზისს, რომლის მიხედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. შესაბამისად, საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სწორედ კონკურენციის პოლიტიკაა.

თავის მხრივ, კონკურენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე დოქტრინაში და პოლიტიკურ კონცეფციებში განიხილება, როგორც წარმატებულად განვითარებადი ეკონომიკის საფუძველი. მას განსაკუთრებული და პირველადი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში. ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, ეკონომიკური არჩევანის თავისუფლებების პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისათვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებელთათვის მისაღები ფასის ფორმირება.

ზოგადად, სრულყოფილი კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს თანმიმდევრული, გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული (ადაპტირებული) საკანონმდებლო ბაზა, რომლის რეალობაში გატარება დიდად არის დამოკიდებული იმ მიზნებსა და ცნებებზე, რომლებსაც თვითონ ეს კანონმდებლობა ეყრდნობა. კონკურენციის კანონები განვითარებულ ქვეყნებში უმთავრესად ეყრდნობიან ორ ძირითად ცნებას: 1) „ბაზრის ძალას“ და 2) „დომინირებას“.

„საბაზრო ძალის“ ცნება უდევს საფუძვლად აშშ-ს, ხოლო „დომინირების“ ცნება ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების კანონმდებლობას. საქართველოს 1996 წლის კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (გაუქმდა 2005 წლის 3 ივნისს) ეფუძნებოდა „დომინირებას“ („მონოპოლიას“), ხოლო დღეს მოქმედი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ეყრდნობა არც ერთ მათგანს.

საზოგადოდ, ანსხვავებენ კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს, რომელთაგან პირველი (აშშ-ს, იაპონიის, კანადის, არგენტინის და ა.შ. კანონმდებლობა) გამოდის რა ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგ თავიდანვე (დომინირებული მდგომარეობის დაკავება-



დე) მკაცრ კონტროლს აწესებს ამ პროცესებზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე.

კონკურენციის კანონმდებლობის ევროპული მოდელი კი, უპირველეს ყოვლისა მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ხელამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ (ეს მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ა.შ.)

ფაქტია, რომ საქართველოში დღეს მოქმედი საკონკურენციო სამართალი – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არსებითად განსხვავდება როგორც ამერიკული, ასევე ევროპული მოდელისაგან. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ კანონი არ ითვალისწინებს ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული ქმედების აღკვეთის მექანიზმებს, ისევე როგორც ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის. ასევე, ცალკეულ კომპანიათა შორის შერწყმების კონტროლის მექანიზმებს. მასში ასევე არაა გათვალისწინებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის პროცესების მკონტროლებელი დებულებები. ამასთან, კანონი არ მოიცავს (არ ეყრდნობა) ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოსავალ პოსტულატს დომინირებას (საბაზრო ძალას). გარდა ამისა, მასში არ არის გათვალისწინებული მონოპოლიური საქმიანობის, ბაზრის პროფიტიზმი და გეოგრაფიული საზღვრების ცნება და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს საქართველოს ძირითადი (ჩარჩო) საკონკურენციო სამართლის – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონის

ნის ცალკეული დებულებების დახვეწა და სრულყოფა იმ სახით, რა სახეც უნდა ჰქონდეს ზოგადად კონკურენციის კანონს. კერძოდ:

1) კანონი უნდა ვრცელდებოდეს განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა იმ ქმედებებზე, რომელიც ხორციელდება ქვეყნის გარეთ, მაგრამ იწვევს კონკურენციის შეზღუდვას ან აღკვეთას ქვეყნის შიგნით;

2) სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი პროგრამების ნაწილი გასაერთიანებელია, რადგანაც მიზნობრივი პროგრამებით განსაზღვრული თანხების კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებზე გაცემა სხვა არაფერია თუ არა სახელმწიფო დახმარება.

ამასთან, აუცილებელია კანონმა ცალსახად განსაზღვროს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გასაცემი სახელმწიფო დახმარებების სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმების ვალდებულება.

გარდა ამისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვითარებული ქვეყნების საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების მსგავსად, ქართული საკონკურენციო სამართლით განსაზღვროს ის კონკრეტული ვადა და მინიმალური თანხა, რომლის სუეთ უნდა მოხდეს საკითხის კონკურენციის ორგანოსთან შეთანხმება (კანონით დადგენილი ზღვარის ქვევით გაცემული თანხა არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო დახმარებად);

3) რამდენადაც დარგობრივი მარეგულირებელი ორგანოები არ არიან (ვერ იქნებიან) კომპეტენტური იხელმძღვანელონ საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებით, რადგანაც ისინი თავიანთი სამუშაოს შესრულების მიზნით, ინფორმაციის მიღებისა და თანამშრომლობისას დამოკიდებული არიან კონკრეტულ დარგში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე, ამიტომ კონკურენციის კანონს უნდა დაემატოს პუნქტი, რომელიც მისცემს შესაძლებლობას კონკურენციის ორგანოს თავისი უფლებამოსილება გაავრცელოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების რეგულირების სფეროში შემავალი ეკონომიკური აგენტების იმ ურთიერთობებზე, რომლებიც

25667

ახალი ეპოქისი



მეცნიერება

ზღუდავენ ან შეიძლება შეზღუდონ კონკურენცია.

4) უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა ნუსხა და იმ საქონლის (მომსახურების) ნომენკლატურა, რაზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება;

5) აუცილებელია რეგულირებადი ეკონომიკური სფეროების თავში (IV თავი) მოცემული დებულებები ვრცელდებოდეს, როგორც სახელმწიფო (როგორც ეს მოქმედ კანონშია) ისე კერძო ინვესტიციებით დაფუძნებულ საწარმოებზე, რადგანაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის საკონკურენციო სამართალი ასეთ გამონაკლისებს არ ცნობს;

ამასთან, კანონში მოცემული რეგულირებადი ეკონომიკური სფეროს განმარტებიდან გამომდინარე, საჭიროა სატარიფო რეგულირებად რეჟიმზე მყოფ ეკონომიკურ აგენტებს დაუწესდეთ რეგულირებადი ტარიფის დაცვის ვალდებულება (ქართულ ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკაში რეგულირებადი სატარიფო რეჟიმის დარღვევის არაერთი პრეცედენტი არსებობს (ავტომობილტრანპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საგალდებულო დაზღვევის, წყლის მიწოდების და სხვა ბაზრებზე));

6) აუცილებელია კონკურენციის ორგანოს ჰქონდეს უფლება საჩივრის გარეშეც მოახდინოს რეაგირება განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის ქსელში კონკრეტული ეკონომიკური აგენტის არდაშვების საკითხზე (აქ იგულისხმება ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი ცნობილი ხდება სხვადასხვა საშუალებებით).

7) კანონმა უნდა დააეალდებულოს აღმასრულებელი ხელისუფლების (ცენტრალური, ადგილობრივი) ორგანოები, რომ მათ მიერ მისაღები ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებები, წინააღმდეგ (მიღებამდე) შეთანხმდეს კონკურენციის ორგანოსთან, საკონკურენციო სამართალთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

8) აუცილებელია კონკურენციის ორგანოს მიენიჭოს (კანონში ეს ცალსახად უნდა იყოს საზღვარგარეთი) ზოგადად რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში (გარდა იმ დარგებისა სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებია შექმნილი) მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის ანალიზის უფლება;

9) კანონს უნდა დაემატოს „ბეოგრაფიული და სასაქონლო ბაზრის“, „ანტიკონკურენციული საქმიანობის“, „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის“, „კოორდინირებული მოქმედების“, „მონოპოლიური საქმიანობის“, „დომინირებული მდგომარეობის“, „პირისპირებადი ინტეგრაციის“, „ეკვრივალური ინტეგრაციის“, „მონოპოლიური ფასის“, „სახელმწიფო რეგულირებადი ფასის“, „სუსხინდისი“ და ა.შ. დეფინიციები.

განსაკუთრებით აქტუალურია კანონში „მონოპოლიური საქმიანობის“ დეფინიციის დამატება (ამ დეფინიციას მოიცავდა 2005 წლამდე საქართველოში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონი), რადგანაც თვით საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 30) კრძალავს (ცალკეული გამონაკლისების გარდა) ასეთ საქმიანობას.

ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსში დღემდე არსებობს მუხლი, რომელიც ეკონომიკურ აგენტთა მონოპოლიურ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

10) კანონით უნდა განისაზღვროს ეკონომიკური აგენტთა პასუხისმგებლობის საკითხი, მათ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა ქმედებისათვის, რაც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდა ან აღკვეთა ბაზარზე;

11) კანონს უნდა დაემატოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე შერწყმათა კონტროლის მომცველი დებულებები;

12) კანონს უნდა დაემატოს დომინირებული ეკონომიკური აგენტების მიერ მომხმარე-

სახალი ეკონომისტი



ბელთან ხელშეკრულების დადების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შესრულება სცილდება ამ ეკონომიკურ აგენტთა საქმედებო საქმიანობის ფარგლებს ან საწარმოო შესაძლებლობებს;

13) კანონში უნდა აისახოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მასშედიის საშუალებებით გავრცელებული არაკეთილსინდისიერი რეკლამის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები;

14) ქვეყნის კონკურენციის ორგანოს უნდა მიეცეს შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით ანალიზების ჩატარების უფლება;

15) სრულსაყოფა კანონის მეორე თავი (კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა) იმ სახით, რომ მან მოიცვას ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენტული ქმედებების აღკვეთის მექანიზმები და ამავდროულად ეს ჩამონათვალი არ იყოს ამოწურვადი (კონკურენციის ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება კონკრეტული სიტუაციის ანალიზური შეფასებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ქმედებით იზღუდება თუ არა კონკურენცია).

16) აუცილებელია, ზემოაღნიშნული ცვლილებების პარალელურად დაიწყოს ქვეყნის საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების ვეროკაეშიონის კანონმდებლობასთან სრული ჰარმონიზაციის პროცესი, რომლის მიღწევის პროცესი დაჩქარებულია თუ კონკურენციის ორგანო იქნება დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან.

შესაბამისად, კანონის მე-VI თავის (გარდამავალი დებულებების), მე-15 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასაჩქარებელია თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ბაზაზე მთავრობისაგან დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბების პროცესი (ასეთი სტრუქტურული ერთეული კანონის შესაბამისად ჯერ კიდევ 2006 წლის აპრილის ბოლომდე

უნდა შექმნილიყო). ჩვენი აზრით, მთავრობისაგან დამოუკიდებელი კონკურენციის ორგანო უნდა იყოს კომისიური მოწყობის ინსტიტუტი, სადაც მისი ხელმძღვანელი და კომისიის სხვა წევრები (სულ ჯამში – სამი, ხუთი ან შვიდი წევრი) ინშენებით საქართველოს პარლამენტის თანხმობით ქვეყნის პრეზიდენტის მიერ კონკრეტული ვადით (სამი, ხუთი ან შვიდი წლით).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს საკონკურენციო სამართალში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გარეშე ვერ იქნება ქვეყანაში სრულყოფილად დაცული თავისუფალი ვაჭრობისა და კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპები (ამ ეტაპზე ქვეყანაში მოქმედი საკონკურენციო სამართალი (ჩარჩო კანონი) არის უფრო აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის შესახებ კანონი ვიდრე კონკურენციის კანონი), მითუმეტეს იმ ფონზე, რომ დღეს, როგორც უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს, „ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ერთოვლ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესი“. შესაბამისად აუცილებელია, სახელმწიფომ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით (რაც პირველ რიგში ფართო საზოგადოების ინტერესების დაცვაში გამოიხატება), მიიღოს ისეთი სამართლებრივი აქტები (ყველა სფეროში და მათ შორის ანტიმონოპოლიური რეგულირების კუთხით), რომლებიც არ იქნებიან ამოვარდნილი ზოგადი სამართლებრივი პრინციპებიდან.

1 უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საშობაო ეპისტოლე, ქრისტეს შობა, 2007 წელი, თბილისი, ეურნალი „ახალი ეკონომისტი“, № 3-4, თებერვალი, 2007, გვ. 7.

ახალი ეკონომისტი



ბუნაზი ერქომაიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

ახალი ეკონომისტი

საბაზრო ეკონომიკისათვის განსაკუთრებულად დამახასიათებელია მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება და მათი გაგენის ზრდა ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროზე.

ნებისმიერ ფორმაში ჯანსაღი ბიზნესის განვითარება წარმოდგენილია ინოვაციების დანერგვის გარეშე. ინოვაციური საქმიანობის შედეგად დასაბამი მიეცა ახალ ტექნოლოგიებს, ახალი სახის საქონლის გამოშვებას, ახალ და სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კომპიუტერულ და რობოტიზირებულ სისტემებს, მოდერნიზებულ მენეჯმენტს და ა.შ.

ინოვაციური საქმიანობის დროს ხდება მიზნის, საქმიანობის ხერხის არჩევა და მასზე კონტროლის დამყარება. ინოვაციურ საქმიანობას ი. შუმპეტერი შემოქმედებით საქმიანობას უწოდებს, რომელიც „თვითონ ირჩევს მიზანს და ასრულებს თავის ფუნქციას“

ინოვაციური საქმიანობის მახასიათებლებია ინოვაციური ციკლი და სიცოცხლისუნარიანობის ციკლი. პირველი იწყება იდეის წარმოშობიდან და გრძელდება მათ პრაქტიკულ გამოყენებამდე, კონკრეტული შედეგების მიღებამდე. მეორე წარმოებაში დანერგვიდან მის სრულ დაძველებამდე. ანუ თუ ინოვაციური ციკლი

იწყება მეცნიერული იდეის წარმოშობით, ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი იწყება სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევის პრაქტიკული დანერგვით.

ინოვაციური პროდუქტის თავისებურება ისაა, რომ იგი არ ემორჩილება საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთ კანონს. მაგალითად, მთხოვნა-მიწოდების, შემცირებადი შექონაფლიანობის და ა.შ. პირველი კანონის მიხედვით საქონელი მაშინ იწარმოება, როცა მასზე მოთხოვნა არსებობს. ინოვაციური საქმიანობის შემთხვევაში პროდუქტია ისე იწარმოება, რომ ცნობილი არ არის, მიიღებს თუ არა მას მომხმარებელი. ინოვაციური პროდუქტი არის სიახლე, რომელსაც მომხმარებელი ჯერ არ იცნობს.

მსოფლიოს მრავალი ცნობილი კომპანია ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავს ახალი პროდუქტის შესაქმნელად ან არსებული საქონლის

სრულყოფისათვის. ყოველწლიურად უამრავი ახალი საქონელი იწარმოება, მაგრამ

მხოლოდ მათი 5% წარმოადგენს ინოვაციას, დანარჩენი კი ცნობილი პროდუქტების მრავალსახეობას წარმოადგენს ახალი შუფუთებით, ფორმის ან სუნის შეცვლით და ა.შ.

ინოვაცია ფირმებს აძლევს კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე, ისინი მუდმივად მზად არიან ინოვაციების შესაქმნელად.



ფირმაში ინოვაცია მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:

- მოწყობილობის შედგენილობის განახლება. ფირმა ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად დანერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, ამას მოითხოვს ბაზარი და კონკურენცია;

- მოწყობილობის ერთეული სიმძლავრის გადიდება. იგი ამსუბუქებს მუშაკის მძიმე შრომას და მის დაძაბულობას;

- შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა - გულისხმობს სამუშაო ადგილების უკეთ მოწყობას, გათბობას, ვენტილაციას, კომფორტული პირობების შექმნას, შრომის უსაფრთხოების ტექნიკის შესწავლას;

- გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ეკონომია - გულისხმობს წარმოებაში ახალი ხაზის მასალების გამოყენებას, რაც შესაძლებელს ხდის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირებას. ახალი ტექნოლოგიური პროცესები საშუალებას იძლევიან შემცირდეს ნარჩენები წარმოების პროცესში;

- გამოსაშვები პროდუქციის განახლება - ამ მიმართულების მთავარ ამოცანას წარმოადგენს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების ამაღლება. ფართოდება წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი. ეს იწვევს წარმოების პროცესების გართულებას და ტექნოლოგიის ახალი მეთოდების გამოყენებას.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციურ საქმიანობას მცირე საწარმოთა 50-60% ეწევიან. ეს იმითაა გამოართლებული, რომ მცირე საწარმომ თავისი სიახლე ბაზარზე რომ გაიტანოს საშუალოდ სჭირდება 222 წელი, მსხვილ ფირმებს კი - 3,05 წელი.

ინოვაციური საქმიანობა მაღალი რისკით ხასიათდება. რისკის შემცირების საუკეთესო საშუალებაა ინოვაციური საქმიანობის დახლებევა. დახლებევის ობიექტი ამ შემთხვევაში ინოვაციური საქმიანობის მონაწილეთა ქონებრივი ინტერესები ხდება.

ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების კარგი საშუალებაა მისი მასტიმულირებელი დაბეგვრა. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყნებში ფირმებს იმ ინვესტიციაზე, რომლებიც მიმართულია გამოკვლევების ჩასატარებლად, ახალი ტექნიკატექნოლოგიების შესაქმნელად ეძლევათ დაბეგვრაში შეღავათები. მაგ. აშშ-ში მცირე ინოვაციური ფირმები 25%-ით ნაკლებ გადასახადებს იხდიან, ვიდრე დანარჩენი მცირე ფირმები.

მსოფლიო ბაზარზე სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქონლის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლების შეფასების საიმედოობა. ასეთი აუცილებლობაა სერთიფიკაცია, რომელიც არის იმის გარანტი, რომ პროდუქცია უპასუხებს დადგენილ მოთხოვნებს.

პროდუქციის სერთიფიკაცია არის საქმიანობათა კომპლექსი, რომლის შედეგად მტკიცდება სამამულო პროდუქციის ხარისხის ფაქტიური მაჩვენებლების შესაბამისობა საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებთან.

საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას უადრესად დიდ მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი განსაზღვრავს აგრეთვე ჩვენი ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობას. კონკვერტირებადობა და კონკურენტუნარიანობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, რადგანაც სავალუტო სტიმულირება ყველაზე უფრო ქმედითი ფაქტორია პროდუქციის ხარისხის ამაღლებლად, ხოლო, თავის მხრივ, მაღალხარისხოვანი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გარეშე შეუძლებელია ქართული ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის უზრუნველყოფა.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ბრენდის შექმნას.

ბრენდის შესაქმნელად აუცილებელია:

ახალი ეკონომიკა



– კომპანიამ ზუსტად ჩამოაყალიბოს თავისი საბაზრო ფასეულობები და განაერთაროს კორპორაციული ბრენდი. განვითარებულ კორპორაციულ მარკებს ფლობენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: Starbucks, Sony, Cisco Systems, Marriott, Hewlett-Packard, General Electric, Amerikan Express. ამ მარკების თანხლება საქონელზე ან მომსახურებაზე ხარისხიანობისა და ვარჯისიანობის გარანტიაა.

– სავაჭრო მარკის განვითარების გეგმა უნდა იყოს მრავალმხრივი. ის უნდა მოიცავდეს მყიდველის კონტაქტის ყველა შესაძლებელ შემთხვევას მარკასთან. კერძოდ, სემინარები, ახალი ამბები, ელექტროფოსტა, ტელეფონის ზარი, პირადი შეხვედრები და ა.შ.

– კომპანიამ უნდა განსაზღვროს თავისი სავაჭრო მარკის არსი, რომელიც ვალდებულია ყიდვა-გაყიდვისას დაიცვას. ლოკალური ვარიაციები დასაშვებია, მაგრამ „ბრენდის გრძნობა“ ერთიანი უნდა იყოს.

– ბრენდინგის ეფექტურობის მაჩვენებლად უნდა გამოვიყენოთ არა მხოლოდ ძველი კრიტერიუმები, როგორცაა: ვითარების გაცნობა, გაცვების უნარი და გახსენების შესაძლებლობა, არამედ ასევე: მომხმარებლის მიერ ფასეულობის აღქმა, მყიდველის დაკმაყოფილება, მყიდველის ხარჯების წილი, მყიდველის მხარდაჭერის დონე, მომხმარებლის დაცვა.

– ბრენდინგის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი კომპანიის პოპულარულ მეთაურს ეკუთვნის, ბრენდ-მენეჯერები მხოლოდ ტაქტიკურ სამუშაოს ასრულებენ. სავაჭრო მარკის წარმატება დამოკიდებულია იმაზეც, რამდენად ჩასწვდა და მიიღო იგი კომპანიის თანამშრომლებმა.

ცნობილი სავაჭრო მარკისთვის მომხმარებელი მზადაა უფრო ძვირი გადაიხადოს. ერთ-ერთი კვლევით დადგინდა, რომ მომხმარებლის 72% თანახმაა საყვარელი მარკის საქონელში 20%-ით მეტი გადაიხადოს, ვიდრე უახლოესი კონკურენტის საქონელში.

Lexus-ის და Toyota Camry-ის ზოგიერთ მოდელში ერთი და იგივე ძრავა დაყენებული, ამასთან Lexus-ი 10 ათასი დოლარით ძვირია, მაგრამ მომხმარებელი მაინც მას ყიდულობენ.

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე ძვირი სავაჭრო მარკებია (დაკავებული ადგილის მიხედვით): Coca-Cola, Microsoft, IBM, General Electric, Nokia, Intel, Disney, Ford, McDonald's და AT&T. Coca-Cola-ს სავაჭრო მარკა 69 მლრდ დოლარადაა შეფასებული, Microsoft – 65 მლრდ, IBM – 53 მლრდ დოლარი.

უმრავლესობა შეცდომით თვლის, რომ სამარკო ნიშანი რეკლამის ხარჯზე იქმნება. რასაკვირველია, პირველ ხანებში სატელევიზიო რეკლამა ბრენდინგის ეფექტური საშუალება იყო. ტელეარხები ბევრი არ იყო, ამიტომ ადამიანები ერთნაირი ინტერესით უყურებდნენ კომედიასაც, დრამასაც, რეკლამასაც. დღეს არხები ასარჩევანად, ამიტომ ბევრი მაყურებელი ერთი არხიდან მეორეზე რთავს, იგნორირებას უკეთებს სარეკლამო ბლოკს. ზოგიერთი საერთოდ არ უყურებს ტელევიზორს, დაკავებული არიან კომპიუტერთა თან თავისუფალ დროს სხვაგვარად ატარებენ.

სავაჭრო მარკამ ყურადღება რომ მიიქციოს, კომპანიები სხვადასხვა საშუალებებს ეძებენ. მათ შორის მნიშვნელოვანს მიეკუთვნება:

– პაბლიკ რილეიშენი და პრეს-რელიზი. სწორად განთავსებული საჟურნალო ან საგაზეთო სტატია მარკისადმი დიდ ინტერესს იწვევს. ცნობილ ჰოლივუდურ ფილმებში საქონლის ჩვენებისას იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა.

– სპონსორობა. სამარკო ნიშნები ხშირად ხდება მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელების, ველოსიპედისტების, ავტომობილელები და ა.შ. სპონსორები. მაგალითად, ქართველი ფეხბურთელი, იტალიის „მილანის“ მცველი, კახი კალაძე არის ცნობილი იტალიელი დიზაინერის „ჯორჯო არმანის“ სამარკო ნიშნის სახე.

– მომხმარებელთა კლუბები და საზოგადოებები. სამარკო ნიშანი შეიძლება

ახალი ამბების

მეცნიერება

გახდეს მომხმარებელთა საზოგადოების ცენტრი. მაგალითად, მოტოციკლიტების Harley-Davidson მფლობელთა ან "Bredford-ის" თევზების კოლექციონერთა კლუბი.

- ექსკურსია ქარხნებში. Hershey-ს და Cadbury-ს, საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებლებმა ფაბრიკაში ააშენეს თემატური პარკი დამთვალიერებლებისათვის.

- მონაწილეობა გამოფენებში. გამოფენები სამარკო ნიშნის გაცნობის და ინტერესების სტიმულირების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. შუღ ახლახანს საქართველოში ჩატარდა მსოფლიოში უკვე საკმაოდ ცნობილი ბრენდის „ტოიოტას“ ახალი მანქანების გამოფენა-გაყიდვა.

- მოვლენების მარკეტინგი. მრავალი საავტომობილო კომპანია ყოველი ახალი მოდელის პრემიერისას ნამდვილ მოვლენას ქნის.

- საზოგადოებრივი ნაგებობების აშენება. მინერალური წყალ Perrier-ის მწარმოებელი კომპანია ხალხის თვალში სარბენ ბილიკებთან ასოცირდება, რითაც მან პარკები ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერის ნიშნად აღჭურვა.

- საქველმოქმედო მარკეტინგი. ქველმოქმედებისათვის ფულის გაღება ასევე ამაღლებს მარკის მიმხიდველობას. მაგალითად, ნაყინის Ben&Jerry-ს მწარმოებლები ქველმოქმედებისათვის მოგების 7%-ს რიცხავენ.

- თვალში საცემია ასევე წარმოსადგები ან ცნობილი დამფუძნებელი. მათ შეიძლება მიზნობრივად ხალხი სამარკო ნიშანზე. მაგალითად, მაიკლ ჯორდანი, სილვესტერ სტალონე, შვარცნეგერი და სხვ.

- „მობილური“ მარკეტინგი. მომავალში ელექტრონული კომერციის განვითარებასთან ერთად მომხმარებლები სავაჭრო მარკის შესახებ ინფორმაციის მიღებას თავისი მობილური ტელეფონით შეძლებენ.

ბრენდინგი მთლიანად კომუნიკაციის მეშვეობით რეალიზდება. კომუნიკაცია დაიყვანება იმაზე, რა ინფორმაციას მიიღებს აუდიტორია. ბრენდინგი არის ის, რაც აუდიტორიის ცნობიერებაში ხდება. ბრენდი არ არსებობს საპატენტო ბიურო-


ში, როგორც სავაჭრო მარკა. ის არ იმალება დიხანის საშუალებებში. ბრენდი ბრენდად მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში ხდება.

კომპანიები, რომლებიც ბრენდს მისდევენ და თანამშრომლებისათვის გასაგები იდეოლოგია აქვთ, გაცილებით უფექტურები არიან. პირველ რიგში აუცილებელია კომპანიას დაეუსახოთ ამოცანა – რაშია მისი კონკურენტული უპირატესობა და ბიზნესის ლოგიკის საფუძველი. შემდეგი ნაბიჯია – ბრენდის აზრობრივი ველის ოთხგანზომილებიანი მოდელის გამოყენებით ავაგოთ ბრენდის პლატფორმა, შევქმნათ ბრენდ კოდი და სლოგანი, ასევე შევქმნათ ბრენდის ლეგენდა, ჩვეულებრივ, ისეთ ისტორიას არჩევენ, რომელიც მხარს უჭერს ბრენდის პლატფორმას.

კომპანიაში პრობლემების უმრავლესობას ნებისმიერ დონეზე მენეჯერები წყვეტენ. რეცხა მოითხოვება რაღაც შეიცვალოს, ჩვეულებრივ, ცვლიან ან ათავისუფლებენ კადრებს. თუმცა ხშირ შემთხვევაში ცვლილება შეიძლება კომუნიკაციის მეშვეობით განხორციელდეს. ბრენდინგი და კომუნიკაცია ყოველდღიურ მართვაში აქამდე არასაკმარისად გამოიყენება. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ლიდერებს შორის ცოტა კომუნიკატორები. ბიზნეს-ლიდერები – ან სპეციალისტები ან ადმინისტრაციაა, რომლებიც ლიდერები თავიანთი კარიერის გზაზე გახდნენ. ასეთი კარიერა კი შეიძლება მიღწეულ იქნეს კომუნიკაციის სფეროში განსაკუთრებული პრაქტიკის გარეშე.

წარმატებული ბრენდის შემქმნელი კომპანიაზე ან მის ლიდერზე ხშირად მრავალსაინტერესო ისტორიას ჰყვებიან. ეს ისტორიები სავსეა სიმბოლოებით და რიტუალებით, რომელსაც ლიდერები იყენებდნენ. ზოგიერთი ისტორია შეიძლება მართლაც რეალური იყოს, ზოგიერთი კი საეჭვო. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი პირადი მარკეტინგის და კომპანიის ფასეულობის კომუნიციურების შესანიშნავი ნიმუშებია.

ახალი მარკეტინგი



მეცნიერება

ახალი პერიოდის

ისტორიის მოფიქრება – ბრენდინგის მნიშვნელოვანი ნაწილია ლიდერებისათვის. ბრენდინგის არსი მეწარმეებისათვის მდგომარეობს თავისი თავის წარმოდგენაში. ესაა ეფექტური და უბრალო გზა ლიდერობისაკენ.

ბრენდი – ესაა კომპანიის დიფერენციაციის კოდი, ისე როგორც პირადი ბრენდი – პიროვნულობის დიფერენციაციის საფუძველი. ბრენდ-კოდი – შესანიშნავი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს პირადი ბრენდის კომპანიის ბრენდთან შესაბამისობაში მოყვანას. თუ კომპანიას ბრენდ-კოდი არა აქვს – თქვენ ის უნდა შექმნათ. ამის საფუძველად უნდა გამოიყენოთ: პროდუქტი, პოზიცია, სტილი, მისია, ხედვა და ფასეულობა. უნდა მოიფიქროთ კომპანიის სლოგანი.

მსოფლიოში წარმატებული ბრენდები: „შვეიცარული საათები“, „სასტუმროების ქსელი“, „ჰილტონი“, რუსეთიდან – ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, ურანი, ხეტუც ბუწვეული. ჩინეთიდან ელექტრო საქონელი, საფიქრო მრეწველობის ნაწარმი.

რუსეთში პირველ პოზიციაზე მდგომი კომპანია **Билайн**-ი მსოფლიოში 61-ე ადგილზეა და უსწრებს **Kodak**-ს (4,9 მლრდ \$).

ჩვეულებრივ ბრენს ახასიათებს შემდეგი ნიშანი:
– პროდუქციის პოზიციონირებულობა;
– მისი არსებობის პერიოდში რეკლამაში ჩადებული არანაკლებ 1 მლრდ \$;
– ბრენდ-პროდუქტის სტაბილური ხარისხი;

– პროდუქტის ინტენსიური ინოვაციური განახლება;
– ბაზარზე არსებობის არანაკლებ 2-3 „სასიცოცხლო ციკლი“.

გარდა ხეობთ ჩამოთვლილისა პროდუქტის სახელი კარგად უნდა იყოს ცნობილი ბაზრის 80-90%-ისთვის, 10-15 წლის მანძილზე ბაზრის წილი მყარად უნდა შეადგენდეს 15-30%-ს მაინც და მომხმარებლები თავისთვის ხელსაყრელად სწორედ მას თვლიდნენ.

იფიქრო ბრენდის შექმნაზე და რაიმე განსაკუთრებული განმასხვავებელი არ გქონდეს სხვისგან, თითქმის შეუძლებელია.

უპოზიციონერო მარკები ბრენდები ვერ გახდებიან. მთელი ძალისხმევა მათ რეკლამაზე გაედუნას მხოლოდ მათ მონეტალურ გაყიდვაზე მოახდენს.

ბრენდის ღირებულება დაახლოებით მის რეკლამაში ჩადებული სახსრების ტოლია. შეიძლება იყოს მეტიც და ნაკლებიც. ეს რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს მაინც მეორადია. პირველადია – მილიარდი. მსოფლიო რეიტინგში საშიე სწორედ ეს მილიარდი დოლარია. 1 მილიარდამდე ბრენდი არ არსებობს. მილიარდი ნიშნავს შემდეგს:

- მარკა გლობალურია;
- მარკაა და რეკლამის შექმნაზე მონაწილეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები;
- რეკლამა მიდიოდა დიდხანს და მასირებულად;

– პროდუქტი ბაზარზე დიდხანია არსებობს, განმეორებითი ყიდვა-გაყიდვა ნორმაა, მომხმარებელი ძალზე კმაყოფილია და კარგად იცის მოცემული პროდუქტი.

პროდუქტის ინტენსიური ინოვაციური განახლება მისი პოზიციის და ხარისხის შენარჩუნებით – ბრენდის არსებობის აუცილებელი პირობაა. იგი აუცილებელია როგორც ზრდის, ისე მომწიფების ეტაპზეც.

პროდუქციის „სასიცოცხლო ციკლი“ საშუალოდ 5-6 წელია. სწორედ ამ ვადაში იგი ან განმტკიცდება ან გაქრება. შესაბამისად, 2-3 ციკლი 10-18 წელს შეადგენს.

აუცილებელია ასევე, რომ მომხმარებელმა დაინახოს არჩეული ბრენდის არა მხოლოდ წარმატება, ასევე ისინი გახდნენ ისინი კონკურენტის ჩაძირვის მოწმეები. თუ არჩეული ბრენდი „რევოლუციის მოსახდენად და ბაზრის გასანახლებლად“ გამოტანილი პროდუქციის ფონზე წინანდებურად ახალგაზრდულ დად გამოიყურება, მისდამი მომხმარებლის ნდობა გეომეტრიული პროგრესით მატულობს.

ხშირად მუდია საშუალებებში საუბარია ქართულ ბრენდებზე, არსებობს თუ არა მსოფლიო ბრენდი საქართველოში? (თუ არ ჩავთვ-

მეცნიერება

ლით „იოკა-კოლას“, „პეკსი-კოლას“, „მაკ დონადლს“, „მარიოტს.“ ისინი მსოფლიოში ცნობილი ბრენდები და ფრანჩაიზინგის გრანდები). იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ – არა.

შეიძლება თუ არა ქართველი მეწარმეების გაკრიტიკება, რომ მათ არ შეუძლიათ მსოფლიო ღონის ბრენდის შექმნა? აქაც პასუხი იგივეა.

ჯერ ერთი, ბრენდის შესაქმნელად საჭიროა მსოფლიო ღონის მარკეტოლოგები, ბრენდის შექმნის ოსტატები მუშაობის გამოცდილებით და ხელფასით – 1 მლნ დოლარი;

მეორე, ბრენდი ეს უწინარეს ყოვლისა ტექნოლოგიაა. უნდა შეიქმნას უნიკალური ტექნოლოგია და მიეცეს მას მასიური ხასიათი;

მესამე, ქართული ბიზნესი, ისევე როგორც თითქმის ყველა ყოფილი საბჭოური ქვეყნის ბიზნესი, განიცდის უმკაცრეს საკადრო შიმშილს. ბრენდინგის ტექნოლოგია – უწინარეს ყოვლისა, ხალხია. მოითხოვება პრინციპულად ახალი მოტივაცია, რომელიც გადაარჩენს ბრენდინგს და ბიზნესს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არის ადგილობრივი ბრენდები, თუმცა ასეთი დაყოფა პირობითია. ქართულ ბრენდებს მიეკუთვნება: „ბორჯომი“, „ლალიძის წყლები“, „ვაზბეგი“, „ნიკორა“, „ცენტრ-პოინტი“, სამაუწყებლო კომპანიები „იმედი“ და „რუსთავე-2“, „თი-ბი-სი“ ბანკი, „სუხიშვილები“, „ერისონი“ და სხვა.

თბილისი
საქართველოს
შრომის
სადასრულებელი
სამსახური

ბ ა მ ო ი ვ ე რ ე თ

საბუღალტრო

ეკონომიკის სპეციალისტი

აქ წაიკითხავთ შემდეგ სიახლეებს:
 ეკონომიკა და ბიზნესი;
 აღრიცხვა და გადასახადები;
 ბანკები და ფინანსები
 ხელმოწერის ღირებულებაა:

3 თვით - 24 ლარი 9 თვით - 72 ლარი
 6 თვით - 48 ლარი 12 თვით - 96 ლარი

თბილისი, ფურცელაძის ქ. №13
 ტელ.: 822 984-982 / 822 990-576 / 855 277-554
 ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
 ვებ.გვერდი: www.loi.ge

მეცნიერება

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ჯამალტ ჯანჯღავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ახალი კონომისტი

თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოების მთავარ სიმდიდრედ ითვლება ცოდნა, რომლისკენ სწრაფვაც ყოველთვის ძლიერი იყო საქართველოში. ზოგჯერ ეს მახინჯი ფორმითაც ვლინდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად ქვეყანაში კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი შეიქმნა. ამის შედეგია ის, რომ ქართველი მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი დღეს წარმატებით შრომობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ბევრიც საქართველოში აგრძელებს თავის მოღვაწეობას. განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში სამეცნიერო საქმიანობის შესაძლებლობები

შეზღუდულია. 2001 წელს იაპონიაში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დაიხარჯა მთლიანი შიდა პროდუქტის 3,08%, სამხრეთ კორეაში 2,92%, აშშ-ში 2,8%, გერმანიაში 2,25%, ფინეთში 3,4%, შვედეთში 4,8%. 2000 წელს საქართველოში სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების დაფინანსების მაჩვენებელმა შეადგინა მშპ-ს 0,22%, 2002 წელს ეს მაჩვენებელი 0,19-ის, 2004 წელს 0,24-ის, 2005 წელს კი 0,18%-ის ტოლი იყო. რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა გამოიკვეთა ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების მხრივ. (იხ. ცხ.№1).

ცხრილი №1

მთლიანი შიდა პროდუქტის და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გამოყოფილი სახსრების თანაფარდობა საქართველოში 2000-2005 წლებში

	მშპ-ს მოცულობა მლნ ლარი (მიმდინარე ფასები)		სამეცნიერო-კვლევა-სამუშაოებზე გაწეული ხარჯები		მათ შორის ფუნდამენტურ კვლევებზე გაწეული ხარჯები	
	სულ	ერთ სულ მოსახლეზე	ათასი ლარი	%-ად მშპ-ში	ათასი ლარი	%-ად მშპ-ში
2000	6043	1362,5	11936,4	0,2	4254,4	0,07
2002	7456	1705,6	12971,7	0,17	5015,2	0,07
2004	9970	2310,4	23078,8	0,23	5411,9	0,05
2005	11621	2709,4	19347,8	0,2	11454,1	0,1

მეცნიერება




ცხრილიდან ირკვევა, რომ 2000-2005 წლებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული ხარჯები აბსოლუტურ მაჩვენებლებში, როგორც მთლიანად, ისე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით იზრდება. 2005 წელს 2000 წელთან შედარებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება მთლიანად 1,6-ჯერ, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების მხრივ.

როგორც ცხრილიდან ჩანს 2000-2005 წწ. ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების მაჩვენებელი 2,7-ჯერ ამაღლდა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ძირითადად, საკუთარი ძალებით ხორციელდება. 2002 წელს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე დახარჯული 12971,7 ათასი

ლარიდან 12019,0 ათასი ლარი, ანუ 92,7% საკუთარი სახსრები იყო. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 55,4%-მდე შემცირდა, 2005 წელს კი კვლავ გაიზარდა და 73,2% შეადგინა. იგივე მდგომარეობაა ფუნდამენტური კვლევის განხორციელების სფეროშიც. თუ 2002 წელს ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების საკუთარი სახსრების ხვედრითი წონა 92,6% იყო, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 78-ს, 2005 წელს კი 81,2% გაუტოლდა. ამასთან ფუნდამენტური კვლევების დაფინანსებაზე გამოყოფილი სახსრების მოცულობის ზრდის ტემპი 2000-2004 წლებში მკვეთრად ჩამორჩებოდა მთელი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ზრდის ტემპს. 2005 წლისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, რაც კარგად ჩანს დიაგრამიდან.



1 - სამეცნიერო კვლევები მთლიანად.

2 - ფუნდამენტური კვლევები.

მთლიანად სამეცნიერო კვლევების და ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უპირატესად სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ხორციელდებოდა, ამასთან დიდ როლს კვლევით საქმიანობაში უმაღლესი სასწავლებლებიც

ახალი ეპოქისთვის

მეცნიერება



ასრულებდნენ. მის მატერიალური საფუძველი იყო ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც ფლობდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. 1990 წელს საქართველოში 115 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებდა. 1995 წლისათვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რიცხოვნობამ 107, 2000 წელს 85, 2005 წელს კი 80 შეადგინა. ინსტიტუტებში დასაქმებული იყო უპირატესად მაღალი კვალიფიკაციის კადრები, რომელთა-

გან ბევრმა დაბალი ხელფასების (ცხოვრების პირობების გამო თავისი მოღვაწეობა საზღვარგარეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში გააგრძელა. სამეცნიერო დაწესებულებების შემცირებასთან ერთად შემცირდა იქ დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობაც (იხ. ცხრ. №2)

მიუხედავად მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებისა საქართველოში დღეისათვის მეცნიერ-მუშაკების რაოდენობა მაინც საკმაოდ დიდია,

ცხრილი №2.

მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობა მეცნიერებათა დარგების მიხედვით საქართველოში 1995-2005 წლებში (კაცი)

ჯამლი ეკონომისტი

	1995	2000	2005	2005 %-ად	
				1995 წელთან	2000 წელთან
მეცნიერ-მუშაკები სულ	18063	14929	9186	50,9	61,5
მათ შორის: ფიზიკა-მათემატიკური	2148	1696	1042	48,5	61,4
ქიმიური	1068	870	557	52,2	64,0
ბიოლოგიური	1778	1454	985	55,4	67,7
გეოლოგია-მინერალოგია	763	532	209	27,4	39,3
ტექნიკური	2871	1784	1211	42,2	67,9
სასოფლო-სამეურნეო	1124	669	750	66,7	112,1
ისტორიული	772	899	517	67,0	57,5
ეკონომიკური	1194	768	556	46,6	72,4
სამედიცინო	1584	1291	793	50,1	61,4
ფარმაცევტული	79	130	10	12,7	7,7
სხვა	4682	4836	2556	54,6	52,9



მღვრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური ბანკითარების
ეროვნული კონცეფციის ბიბლიური საფუძვლები



გიორგი გვასალია:

ბიორბი შინაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიის
და სემინარიის ლექტორი, თბილისის
ქვაშეთის ტაძრის სტიქაროსანი

სახალი ეკონომიკისტი

„ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1, 1);

„უფლისა არის ძვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი
მკვიდრნი“ (შს. 23, 1-2);

„აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის
დასაგუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15);


„მართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტულ-
თა გული კი სასტიკია“ (იბაგ. 12, 10).

გარდამავალი პერიოდის კომპლექ-
სური სოციალურ-ეკონომიკური და
ეკოლოგიური პრობლემების პრაქ-
ტიკული გადაჭრა და ქვეყნის შემდგო-
მი წინსვლა ორგანულად არის დამოკ-
იდებული ყოველმხრივ გააზრებული
სათანადო თეორიულ-მეთოდ-
ოლოგიური საფუძვლების ჩამოყალ-
ბებზე.

თანამედროვე პირობებში აუცილ-
ებელი სამეურნეო-მმართველობითი
საქმიანობის რადიკალური პუმანიზა-
ცია რელიგიური პრინციპების და
ზნეობის საფუძველზე. ეს განსაკუთრე-
ბით აქტუალურია განვითარებადი ქვეყ-
ნებისათვის, სახელდობრ საქართველო-
სათვის, სადაც ესოდენ მწვავედ ვლინდება
გაუაზრებელი და უზნეო ეკონომიკური

საქმიანობის სავალალო სოციალურ-
ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგები.

ნებისმიერი საქმის წარმატება პირდა-
პირ არის დამოკიდებული გულმოდგინე
გააზრების, დაგეგმვის, სათანადო შესაძლე-
ბლობების გამოვლენისა და შესაბამისი
სახსრებით უზრუნველყოფის სიაკვარგეზე.
აქ მოვიხმით სახარებისეული სიბრძნე,
რომლითაც გვმოდგრავეს და გვაფრთხ-
ილებს უფალი იესო ქრისტე: „ . . . თუ
რომელიმე თქვენგანი კოშკის აგებას
მოისურვებს, განა თავდაპირველად არ
დაჯდება და არ გამოთვლის ხარჯს, რაც
დასჭირდება მის დასრულებას? რათა,
საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ
შესძლებს დაასრულოს, მნახველებმა
დაცინვა არ დაუწყონ მას, და არა თქ-
ვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება



და დასრულება კი ვერ შესძლო“ (ლუკ. 14, 28-30).

დღეს, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში, ჩვენ სწორედ ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდით, ვინაიდან შენება კი დავიწყეთ, მაგრამ სასურველი პოზიტიური შედეგი ჯერ არც კი მოსჩანს პორიზონტზე. ასეთი გარემოება მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით არის გამოწვეული, რომელთა შორის უპირველესად აღსანიშნავია ის პარადოქსი, რომ ვაშენებთ საპირკველის გარეშე. ახალი საზოგადოებრივი შენობის საპირკველი – სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ყოველმხრივი მეცნიერული თეორიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ფუნდამენტური ეროვნული კონცეფციის, მასზე დაფუძნებული სტრატეგიული გეგმის და შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება-არსებობაა, რაზეც ჩვენ სათანადოდ არ გვიზრუნია და, ცხადია, ისინი არც გაგვაჩნია.

საქართველოს ნორმალური სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარება შეუძლებელია ადგილობრივი (ეროვნულ-ტრადიციული), რეგიონული (კავკასია) და გლობალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს აღნიშნული სამი ფაქტორის ჰარმონიულ შერწყმას. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს ეროვნული მეურნეობის ყოველი დარგის განვითარების, შესაბამისი გარემოსდაცვითი საქმიანობის, მისი ოპტიმალური მართვის და დაფინანსების პერსპექტივებიც.

საქართველოს მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ფუნდამენტური კონცეფციის შემუშავებისათვის აუცილებელია ეროვნულ და ზოგად-

საკაცობრიო ფასეულობათა გზავლის წინება და მათი ჰარმონიული ურთიერთშეხამება. სწორედ ასეთ გზაზე უნდა ვიდოდნენ ცალკეული ქვეყნები და მთელი კაცობრიობა XXI საუკუნეში.

გაეროს მიერ 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში მიღებული და მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებული პოსტინდუსტრიული ეპოქის გრანდიოზული პროგრამა (მდგრადი განვითარების პრინციპები და „XXI საუკუნის დღის წესრიგი“) მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ორგანულად დაუკავშირონ ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიღწევები ხანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. მაგალითად, მდგრადი განვითარების 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭიროონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში.

ჩვენში საყოველთაოდ ცნობილია ქართული გამოთქვები: „ტყე შეუნახე შეილებსა, მამა ხარ, შენი ვალია“, რაც მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფციის ჩვენეულ, ეროვნულ-ტრადიციულ თეორიულ გააზრებას და პრაქტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს. ასეთ პრინციპს ეფუძნებოდა სამეურნეო და გარემოსდაცვითი საქმიანობა საქართველოში საუკუნეების მანძილზე, რასაც ბიბლიური ეკოლოგიური მოძღვრება განაპირობებდა.

ზოგადაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეადმატებული

ახალი ეკონომიკა



ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო ეკონომიკურ-ეკოლოგიურ საქმიანობას უკავია.

სამეურნეო-ეკოლოგიური საქმიანობის ბიბლიურ ასპექტებს დიდი ხანია იკვლევენ ცივილიზებული სამყაროს მეცნიერები. ამ საქმეში ჩაბმული არიან ცნობილი უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები. უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი მეცნიერული მიმართულებები, როგორცაა: თეოლოგიური ეკონომიკა, ქრისტიანული ეკონომიკა, ქრისტიანული ბიზნესი, მდგრადი განვითარების თეოლოგია, თეოლოგიური ეკოლოგია, ქრისტიანული სამეურნეო-ეკოლოგიური ეთიკა და სხვ. გამოკვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე საზღვარგარეთ იქმნება სათანადო ეკონომიკურ-ეკოლოგიური ხასიათის კანონმდებლობა, ვითარდება შესაბამისი ბიზნესი და გარეუბრისდაცვითი საქმიანობა.

დასავლელ მეცნიერთა ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობის რადიკალური ეკოლოგიზაცია ბიბლიურ-თეოლოგიური გააზრების საფუძველზე. ასეთი იდეები და რეკომენდაციები განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი საქართველოსათვის. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია დასავლეთის ანალოგიური კვლევითი მუშაობის გაშლა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვა ჩვენს სინამდვილეშიც.

მდგრადი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების თეოლოგიურ-ქრისტიანული საფუძვლების გააზრებისათვის აუცილებელია ბიბლიაში ასახული სამეურნეო-ეკოლოგიური თემატიკის სათანადო შესწავლა.

როგორც საზომებითაც არ უნდა მივუდგეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხრობა

იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება რომაული კულტურის ეპოქით. ბიბლიის ყველაზე გვიანდელ წიგნებში კი თითქმის ერთი ათასი წლისაა. მიუხედავად ასეთი სიძველისა, ბიბლია დღესაც უაღრესად აქტუალურია. ასეულობით მილიონი ადამიანი დღევანდელ ეპოქაშიც ეწაფება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს ღვთაებრივი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უებრებლობა და ყოვლისმომცველობა.

ბიბლიის გავლენით საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძვლები – ეკონომიკა, სამართალი, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ცხოვრების ეკოლოგიური საზრისი, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებათა კონცეფციები. დასავლეთის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სფეროების უდიდეს მოღვაწეთა საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო განმსჭვალული. შთაგონებული.

საკანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ეპოქა თითქოს ჩრდილში მოაქცია რწმენა, ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებული მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალნათლივ გვიჩვენებენ ასეთი გარემოების მოჩვენებითობას და მჯდარობას ამის დასტურად მოვიხმოთ ზოგიერთი მათგანის განმნათქვამები რწმენისა და ბიბლიის მნიშვნელობის შესახებ.

ვერნერ ფორსმანი, ნობელის პრემიის ლაურეატი, მედიკოსი: 'დამერთმა შექმნა სამყარო და მისცა მას კანონები. ეს კანონები უცვლელად რჩება. ასევე უცვლელია სამყაროს სულიერი ჩანაფქრი და ძალები. . . . ის ფაქტი, რომ მეცნიერული კანონებით განმსჭვალულია მთელი სამყარო, გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ მატერიალურ

ახალი ეკონომიკისტი



თეოლოგიური ეკონომიკა

სამყაროს აქვს თავისი სულიერი საფუძველი. ეს საფუძველია სამყაროს შექმნა შემოქმედის მიერ“.

ალბერტ ეინშტეინი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერება ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო მეტად მივიღვართ დასკვნებამდე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რწმენით“.

მაქს ბორნი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი: „მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. თუ მეცნიერს სწამს ღმერთი, ეს მას უადვილებს პრობლემას. მეცნიერს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს“.

ალფ ბიერკე, ნორვეგიის ბიერკეს სადუბაუების კორპორაციის პრეზიდენტი: „თანამედროვე მეცნიერებამ ვერ მოკლა ბიბლიის ფუნდამენტური ჭეშმარიტებები. მე მწამს ღმერთი, იესო ქრისტე, მე მწამს ბიბლია“.

ჯორჯ ვაშინგტონი, ამერიკის 1-ლი პრეზიდენტი: „შუუძლებელია მართო ჭეყვანა და მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე“. ამ აზრს ანეითარებს უილიამ მაკინლი, ამერიკის 25-ე პრეზიდენტი: ჩვენ ვალდებული ვართ შევისწავლოთ ბიბლია, ოღონდ არ უნდა შემოვიფარგლოთ ამით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი ცხოვრებაში“, ხოლო თეოდორ რუზველტი ამბობდა: „თითქმის ყველა ადამიანი, რომელთა საქმიანობას შედეგი მოჰქონდა, თავის ცხოვრებისეულ გზას ბიბლიურ სწავლებაზე ამყარებდა“.

უაღრესად მრავალფეროვანია ეკონომიკურ-ეკოლოგიური სამყარო ბიბლიისა, რომელშიც სიღრმისეულად არის ასახული ყველა დროისათვის ისეთი აქტუალური თემატიკა, როგორიცაა: სამყაროს და ადამიანის შექმნა ღმერთის მიერ; ბიომრავალფეროვნება;

ბუნებრივი რესურსების წარმომავლობა და დანიშნულება; გარემოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოტენციალი; ადამიანის დანიშნულება და მისი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მოთხოვნილებები; საზოგადოებრივი წარმოება და მისი შემზღვეველი ეკოლოგიური ფაქტორები; სამეურნეო საქმიანობა; შრომა; ბიზნესი; მრეწველობა; მშენებლობა; სოფლის, სატყეო და სამელიორაციო მეურნეობა; ეკოსისტემების დეგრადაცია; გარემო პირობების სრულყოფის და დაცვის პრაქტიკული მეთოდოლოგია და სხვა.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

ბამოიწერეთ!

ეკონომიკისტი

ეკონომიკისტი

აქ წაიკითხავთ შემდეგ სიახლეებს:

- ეკონომიკა და ბიზნესი;
- აღრიცხვა და გადასახადები;
- ბანკები და ფინანსები.

თქვენ ასევე შეგიძლიათ:

- მოგვეწეროთ თქვენი შეხედულებები;
- დაგვისვათ შეკითხვები;
- გამოგვიგზავნოთ სტატიები.

ჩვენ ყველაფერს გავითვალისწინებთ.

ხელმოწერის ღირებულებაა:

3 თვე - 24 ლარი
6 თვე - 48 ლარი
9 თვე - 72 ლარი
12 თვე - 96 ლარი

ჩვენი რეკვიზიტებია:
თბილისი, ფურცელაძის ქ. №13
ტელ: 822 984 982 / 855 277 554
ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
ვებ.გვერდი: www.economisti.ge

ახალი ეკონომისტი



დასმულ კითხვებზე პასუხობს ჩვენი
ეურნალის რედაქციის წევრი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის
პროგრამის სრული პროფესორი,
საქართველოს დამოუკიდებელ
ბუღალტერთა და აუდიტორთა
კავშირის პრეზიდენტი -
ელენე ხარაბაძე



სახალი პარლამენტი

კითხვა:

ბაჰურავის შედეგად ოფისიდან წაღ-
ბულ იქნა 2000 ლარის ღირებულების
კომპიუტერული მონაცემების
რომელიც ხაზსადამო კაპიტალის მა-
ტერიალურ-ნივთო ბრუნვას წარ-
მოადგენდა. როგორი იქნება აღნიშნუ-
ლი შიგნით ბუღალტრული გათვალისწი-
ლი რეგისტრაციის ანგარიშები ან-
ბარებებში (ბალანსში)?

პასუხი:

შესაბამისი დოკუმენტის (აქტის, ხოლო
თუ ეს სახელმწიფო ქონებაა, ეკონომიკის
სამინისტროს ნებართვის) საფუძველზე,
აღნიშნული კომპიუტერული მონაცემი-
ლობები ჩამოიწერება ბუღალტრული გა-
ტარებით:

დ-ტი ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
(2260) - დაგროვილი ცვეთის თანხით;

დ-ტი არასაოპერაციო ხარჯი (8220) -
სხვაობის თანხით;

კ-ტი ოფისის აღჭურვილობა (2160)
- პირვანდელი ღირებულებით.

შედეგად, წლიურ ფინანსურ ანგარიშ-
გებაში, კერძოდ, ბალანსში შემცირდება
ძირითადი საშუალებების საბალანსო
(ნარჩენი) ღირებულება, ხოლო მოგება-
ხარჯის ანგარიშგებაში აისახება ხარჯი,
არასაოპერაციო ხარჯის სახით.

რაც შეეხება საწესდებო კაპიტალს, იმის
გამო, რომ აღნიშნული ქონება მის მატე-
რიალურ-ნივთობრივ ფორმას წარმოადგენ-
და, არ შეიცვლება, დაბალანსებულია რა
სხვა აქტივებით;

კითხვა:

საბალანსადაც მონაცემებიდან გამომ-
დინარა, ძირითად საშუალებებზე ცვე-
თის ღირებულება ხდება საბალანსადაც
კომპიუტერული მონაცემების
ნორმებით. რა პრაქტიკული მნიშ-
ვნელობა გააჩნია ბასს-ის მიმართ
კომპიუტერული მონაცემების ბანსაზღვრას?

პასუხი:

ბასს-ის მიხედვით, ძირითადი საშუალებე-
ბები გრძელვადიანი მატერიალური აქტივე-
ბია, მეწარმისათვის მნიშვნელოვანია საწარ-
მოში ძირითადი საშუალებების მიღები-
სთანავე განსაზღვროს მათი სასარგებლო
მომსახურების ვადა, რათა ამ ვადის გან-
მავლობაში მოახდინოს აქტივის ცვეთადი
ღირებულების ხარჯად აღიარება და არ
განიცადოს ხარჯი; ხოლო მოგების გა-
დასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის
საგადასახადო კოდექსი აწესებს საამორ-
ტიზაციო ანატიციების გამოქვითვის
ნორმებს, რომლის დაცვა საყვარელად
მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და
მოგების გადასახადის წლიური დეკ-
ლარაციის მომზადებისას.



საქართველოს ელექციის ავტორიტეტული ცენტრი

საკანონმდებლო სიხსენებო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება № 176

2007 წლის 6 მარტი ქ. თბილისი

“ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

(სსმ 13.03.2007 № 33 მუხ. 402)

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სარეგისტრაციო კოდი 200.130.000.22.033.010.087

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე, მე-40 თავის მოთხოვნათა აღსრულების მიზნით, ებრძანება:

მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია „ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ თანდართულ დანართებთან ერთად (დანართი N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 22 აპრილის №279 ბრძანება „ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (სსმ III, 2005წ., №53, მუხ. 572).

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა.ალექსიშვილი

სახალი ეკონომისტ

ინსტრუქცია

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად და განსაზღვრავს ქონების გადასახადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრებები

1. ქონება - ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა შეუზღუდავად შექენა და რომელთა ფლობა, განკარგვა და რომლებით სარგებლობა შეუძლიათ პირებს.
2. უძრავი ქონება - შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.
3. შენობა-ნაგებობა - ნებისმიერი შენობა, კონსტრუქცია ან ნაგებობა (ან მათი ნაწილი) მიწის ნაკვეთით, რომელზედაც იგი არის დამაგრებული.
4. დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელი - ადგილი, სადაც უძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს, ხოლო მოძრავი ქონება რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ არ არსებობს მოძრავი ქონების რეგისტრაციის ადგილი, დასაბეგრი ქონების ადგილსამყოფელად ითვლება ადგილი, სადაც მოძრავი ქონება ფაქტობრივად მდებარეობს.
5. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონება - ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენებიან ეკონომიკური საქმიანობისათვის,

აგრეთვე დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებები, რომლებიც განკუთვნილია ეკონომიკური საქმიანობისათვის.

6. არამატერიალური აქტივი - ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუგლი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები.

7. ძირითადი საშუალება - მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი ერთ წელზე მეტი ხნით იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

8. აქტივების ღირებულება - აქტივების ღირებულებაში შეიტანება მათი შექმნის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგენის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა გადახდილი მოსაკრებლისა ან/და საბაჟო გადასახადისა.

9. ლიზინგის საგანი - ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები. ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღნიშნული ძირითადი საშუალებები აისახება იჯარის მიმღების ბალანსზე.

ახალი ეპოქის მისი

10. პირის ოჯახი- პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. ქონების ვადასახადით დაბეგრის მიზნებისათვის თავად ვადამხდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას.

11. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი - ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება ადგილი, რომელზეც იგი, ჩვეულებრივ, საცხოვრებლად ირჩევს, ან მისი ფაქტობრივად ყოფნის ადგილი. თუ ფიზიკურ პირს რამდენიმე საცხოვრებელი (ბინა ან საცხოვრებელი) აქვს, მის საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო ამ ფიზიკურ პირთან შეთანხმებით.

12. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას მიეკუთვნება:

ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებართვლი წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები;

გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები;

დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებართვლია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) სამელიორაციო ქსელეებით დაკავებული მიწები;

ზ) სხვა მიწა, რომელიც "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.



13. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებზე მიწა - მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

14. ორგანიზაცია - ორგანიზაციებად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დაწესებულებები, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო იურიდიული პირები ან შექმნილი არიან და მოქმედებენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, რომელთა შემოქმედითაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებენ საქმიანობას (რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით), ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები;

ბ) საერთაშორისო (საგელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები - საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, საელჩოები, საკონსულოები, წარმომადგენლობები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

15. კალენდარული წელი - დროის მონაკვეთი საანგარიშო წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ახლად დაფუძნებული საწარმო-ორგანიზაციებისათვის (მეწარმე ფიზიკური პირებისათვის) - დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები.

1. ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღების (გადახდის პირობების შეცვლის ან შეზღუდული გადასახადის გაუქმების) უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული ქონების გადასახადის გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტის ტერიტორიაზე.

2. ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი.

3. საგადასახადო ორგანოებს, საგადასახადო კოდექსის დებულებათა გათვალისწინებით, უფლება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების მოცულობა, საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით ან შედარების მეთოდით - სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაციას.

4. საგადასახადო ორგანო, გადამხდელის სათანადო მომართვის შემთხვევაში ვალდებულია, ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულების

განსაზღვრის მიზნით გადამხდელს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, ამ მიზნით:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია ყოველი წლის 1 აპრილამდე დანართი №7 ფორმით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს მონაცემები საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი) და მათი მესაკუთრეების შესახებ;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლის მე-10 ნაწილის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ორგანოებს ევალებათ ყოველი წლის 1 ივნისამდე დანართი №8 და №9 ფორმით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგინონ მონაცემები საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იახტებზე (კატარალებზე), თვითმფრინავებსა და შეუქმფრენებზე და მათი მესაკუთრეების შესახებ;

გ) თანამდებობის პირთა კონსტრუქციული და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო ყოველი წლის 1 ივნისამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს წარუდგენს მონაცემებს ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ა) ქვეპუნქტითა და მე-9 პუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის მოიქცევისა და მათი მესაკუთრეების შემოსავლების შესახებ.

თვითმმართველობის აქტი

დ) აღვილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახური სათანადო საგადასახადო ორგანოს ვალდებულებების 1 აპრილამდე წარუდგენენ გადასხდელთა სიებს მიწის ფართობის, შესაბამისი კატეგორიის ან ზონის და გადასახადის განაკვეთის მითითებით. (დანართი 10).

5. მე-4 პუნქტში აღნიშნულის გარდა მარეგისტრირებელი ორგანოები შესაბამის საგადასახადო ორგანოს ვალდებულებების 10 რიცხვამდე წარუდგენენ გასხვისებული ქონების (სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" - მიწის ნაკვეთის) შესახებ მონაცემებს.

6. გადასხდელის მიერ, შესაბამისი დაბეგერის ობიექტების მიხედვით ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულებების თანხობრივი გაანგარიშება ხდება სრულ ლარებში. ამ მიზნით საგადასახადო ვალდებულება ერთ ლარამდე ნულდება.

საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

მუხლი 3. ქონების გადასახადის გადასხდელები.

1. ქონების გადასახადის გადასხდელია პირი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

ა) საკუთრებაში ან ლიზინგით აქვს აღებული ამ გადასახადით დაბეგერის ობიექტი;

ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივი ფლობა ან სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა.

მაგალითი: 1

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მობინადრეებმა, სახლის მიმდებარე აუთისებური მიწის ფართობი (გარდა მათ თანასაკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთისა) საბოსტნე ნაკვეთებად დაინაწილეს და მისი დამუშავება დაიწყეს.

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მობინადრეები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივ მფლობელებად ჩაითვლებიან.

გ) ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ამ გადასახადით დაბეგერის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უსუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

მაგალითი: 2

პირის გარდაცვალების შემდეგ, სოფლად მის საკუთრებაში არსებული პრივატიზებული მიწის ნაკვეთის დამუშავება და მოსავლის (ნაყოფის) მიღება დაიწყო გარდაცვლილი პირის შვილმა. ამასთან, მან მიწის ნაკვეთი საკუთრებაში არ დაირეგისტრირა.

მოცემულ შემთხვევაში, შვილი აღნიშნულ მიწის ნაკვეთის მიხედვით განიხილება ქონების გადასახადის გადასხდელად.

მაგალითი: 3

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ბინა გაქირავებული იყო მის დიშვილზე. 2010 წელს პირი გარდაიცვალა, ამასთან მისმა შვილმა ბინა საკუთრებაში არ დაირეგისტრირა. დიშვილმა ბინის ქირის გადახდა განაგრძო გარდაცვლილის შვილის სასარგებლოდ.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ დიშვილის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება ქირით, იგი აღნიშნულ ბინაზე ქონების გადასახადის გადასხდელად არ განიხილება, ასეთად, აღნიშნული ბინის მიხედვით, განიხილება გარდაცვლილის შვილი.

2. ქონების გადასახადის გადასხდელია აგრეთვე პირი, რომელიც საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის მიხედვით ითვლება ამ გადასახადით დაბეგერის ობიექტის ცრუმაგიერ მფლობელად.

მუხლი 4. დაბეგერის ობიექტი

საკანონმდებლო სიახლეები

1. საქართველოს საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები.

მაგალითი: 4

საწარმოს, რომლის ეკონომიკური საქმიანობის სახეს წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობა (საცხოვრებელი ბინების მშენებლობა-მიწოდება), 2007 წელს საცხოვრებელი ბინის პარალელურად საკუთარი საჭიროებისათვის აშენებს საოფისე შენობას. აღნიშნული წლის მიხედვით საწარმოს დაუმთავრებელი დარჩა როგორც საცხოვრებელი ბინის, ასევე საოფისე შენობის მშენებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მიწოდებისათვის განკუთვნილი მშენებარე საცხოვრებელი სახლის ღირებულება განეკუთვნება საბრუნავ საშუალებებს და არა გრძელვადიან კაპიტალურ დაბანდებას ან ძირითად საშუალებას, 2007 წელს საწარმოსათვის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება მხოლოდ მშენებარე საოფისე შენობის ღირებულება.

2. უცხოური საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქონება (მათ შორის რეზიდენტი პირისათვის იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონება).

მაგალითი: 5

უცხოურმა ავიაკომპანიამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული (რეგისტრირებული) სააერო ხომალდი იჯარით გადასცა საქართველოს ავიაკომპანიას.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საწარმოზე (ავიაკომპანიაზე) უცხოური საწარმოს მიერ იჯარით გადაცემული ქონება (სააერო ხომალდი) ქონების გადასახადით დაიბეგრება.

3. ორგანიზაციებისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული, ამ მუხლისპირველი ნაწილით განსაზღვრული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული:

ა) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულებით გაცემული ქონებისა;

ბ) იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულებით გაცემული ქონება;

გ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილები (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი);

დ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შეუღლმფრენები.

5. მეწარმე ფიზიკური პირისათვის, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ქონებისა და მიწისა, ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობისათვის, აგრეთვე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყენებული ან განკუთვნილი ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები.

6. საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) საკუთრებაში არსებული

იხილეთ მკონომისტი

საკანონმდებლო სიხსენი

სხალი ეკონომისტი

მიწა:

ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

7. ამ ინსტრუქციის მე-3-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით და მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის დაბეგურის ობიექტად განიხილება ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შესაბამისი ქონება.

მუხლი 5. ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გამოიანგარიშებისა და გადახდის წესი

1. ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე, კერძოდ ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებითა და მე-4 პუნქტის „ბ“- ქვეპუნქტითა და მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დაბეგურის ობიექტებზე, გადასახადი გამოიანგარიშება გადამხდელის მიერ.

2. საქართველოს საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის (ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში) და უცხოური საწარმოსათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების არა უმეტეს 1%-ის ოდენობით. ამასთან, საანგარიშო წლისათვის აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების ღირებულების ჯამის 2-ზე გაყოფით.

მაგალითი: 6

საანგარიშო წლის 1 იანვარს საწარმოს ბალანსზე ერიცხება: 50.0 ათ. ლარის ძირითადი საშუალებები (ნარჩენი ღირებულებით); 5.0 ათ. ლარის დაუმონტაჟებელი მოწყობილობა; 10.0 ათ. ლარის დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და 9.0 ათ. ლარის არამატერიალური აქტივები (ნარჩენი ღირებულებით), ხოლო საანგარიშო წლის 31 დეკემბერს იგივე აქტივები - შესაბამისად: 55.0 ათ. ლარის, 4.0 ათ. ლარის, 3.0 ათ. ლარის და 9.0 ათ. ლარის ოდენობით.


მოცემულ შემთხვევაში, წლის დასაწყისისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება შეადგენს $(50.0+5.0+10.0+9.0)$ 74.0 ათ. ლარს, წლის ბოლოსათვის - $(55.0+4.0+3.0+9.0)$ 71.0 ათ. ლარს. ხოლო საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენს - $[(74.0+71.0) / 2]$ 72.5 ათ. ლარს.

3. ფიზიკური პირის მიერ იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ ქონებაზე (გარდა მიწისა) და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობისათვის, აგრეთვე "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყენებულ ან განკუთვნილ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება ქონების ღირებულების არა უმეტეს 1%-ის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევაში, აქტივების ღირებულება გამოიანგარიშება საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული აქტივების ღირებულებისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით. ამასთან, აქტივების ღირებულება საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ამორტიზაციის ნორმებით მცირდება იმ საანგარიშო პერიოდებისათვის, რომელშიც ხდება აქტივების გამოყენება ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს წესი მოქმედებს მიუხედავად იმისა, რომ პირმა შეიძლება გამოიყენოს 183-ე მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული უფლება და ძირითადი საშუალებების შესყიდვის (წარმოების) ხარჯები სრულად გამოქვითოს დასაბეგრი შემოსავლის გაანგარიშებისას, ან გამოიყენოს 183-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული დამქარებელი ამორტიზაციის ნორმა.

მაგალითი: 7

ფიზიკურმა პირმა, ქალაქში, სადაც ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე ქონების გადასახადის 1%-იანი განაკვეთია შემოღებული, 2005 წლის 1 იანვარს დაიწყო ეკონომიკური საქმიანობა. კერძოდ, მან მის კუთვნილ ერთობლიან საცხოვრებელ ბინაში



საკანონმდებლო სიხსლენი

დაამონტაჟა ფოტოსურათების დასაბეჭდი მოწყობილობა. ბინა შექმნილი იყო 2002 წელს 12 000 ლარად, ფოტოსურათების დასაბეჭდი მოწყობილობა 2004 წელს - 6 000 ლარად.

მოცემულ შემთხვევაში, პირმა ქონების გადასახადის ოდენობა 2005 წლისათვის შემდგენიანად უნდა განსაზღვროს: საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საცხოვრებელ ბინაზე (შენიშვნა-ნაგებობა) ამორტიზაციის 5%-იანი ნორმა ვრცელდება. ამასთან, ამორტიზაციის ნორმის ოდენობით მისი ღირებულების შემცირება მოხდება 1 წელზე გაანგარიშებით (ვინაიდან, აღნიშნული ფართი ეკონომიკური საქმიანობისათვის 2005 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა). ფოტოსურათების დასაბეჭდ მოწყობილობაზე ვრცელდება ამორტიზაციის 20%-იანი ნორმა. მის საწყის ღირებულებად აღება 6000 ლარი, ამ შემთხვევაშიც, ამორტიზაციის ნორმის ოდენობით ღირებულების შემცირება მოხდება 1 წელზე გაანგარიშებით.

ამრიგად, საცხოვრებელი ბინის ღირებულება იქნება $[12000 - (12000 \times 0.05)] 11\ 400$ ლარი, ხოლო სურათის გადამღები მოწყობილობისათვის - $[6000 - (6000 \times 0.2)] 4\ 800$ ლარი. შესაბამისად, 1%-იანი დასაბეჭდი განაკვეთის შემთხვევაში, ქონების გადასახადი შეადგენს $[(11400 + 4800) \times 0.01] 162$ ლარს.

5. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელი არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად. ამასთან, თუ გადამხდელი რეგისტრირებულია თვის პირველ ნახევარში, ან მოხსნილია რეგისტრაციიდან თვის მეორე ნახევარში, მაშინ გადასახადის გაანგარიშებისას სარეგისტრაციო და რეგისტრაციიდან მოხსნის თვე ჩაითვლება სრულ თვედ. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თვე მხედველობაში არ მიიღება.

მაგალითი: 8

პირობა იგივეა, რაც მე-7 მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ ფიზიკურმა პირმა ეკონომიკური საქმიანობა 2005 წლის 24 აპრილიდან დაიწყო.

მოცემულ შემთხვევაში, საქმიანობის დაწყების თვე (აპრილი) ჩაითვლება როგორც სრული თვე და შესაბამისად, პირს ქონების გადასახადი 2005 წლისათვის განესაზღვრება 9 თვიან პერიოდზე. რაც 1%-იანი განაკვეთის შემთხვევაში შეადგენს $(162 / 12 \times 9) 121$ ლარს.

6. მეწარმე ფიზიკური პირისათვის, თუ სამეწარმეო საქმიანობისათვის, აგრეთვე „მეწარმე უწყსაზე“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობისათვის გამოყენებული ან განკუთვნილი ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები შექმნილი ან/და რეალიზებული (გასხივებული ან განადგურებული) იქნა კალენდარული წლის დაწყების შემდეგ, ქონებაზე საგადასახადო პერიოდი განისაზღვრება გადამხდელის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად. ამასთან, თუ ქონება შექმნილია თვის პირველ ნახევარში ან რეალიზებულია თვის მეორე ნახევარში, მაშინ გადასახადის გაანგარიშებისას შექმნის და რეალიზების თვეები ჩაითვლება სრულ თვეებად.

მაგალითი 9

პირობა იგივეა, რაც მე-7 მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ ფიზიკურმა პირმა 2005 წლის 20 მაისს ეკონომიკური საქმიანობისათვის 1000 ლარად შეიძინა კომპიუტერი.

მოცემულ შემთხვევაში, კომპიუტერის შექმნის თვე (მაისი) ჩაითვლება როგორც სრული თვე და შესაბამისად, პირს 2005 წლისათვის ქონების გადასახადი კომპიუტერთან მიმართებაში განესაზღვრება 8 თვიან პერიოდზე.

7. ამ მუხლით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე, ქონების გადასახადის გადამხდელი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს წარუდგენს საგადასახადო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე (დანართი №1).

8. ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადასახადი გადაიხდებინება მიმდინარე გადასახდელის სახით გასული წლის წლიური გადასახადის მიხედვით და ბიუჯეტში ჩაირიცხება არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა. ამასთანავე, მიმდინარე

ახალი მკონომისტი

საკანონმდებლო სიახლენი

გადასახდელის სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხა ჩაითვლება საგადასახადო პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებულ გადასახადის თანხად.

9. საწარმო, რომელიც დაფუძნდა კალენდარული წლის დაწყების შემდეგ, შესაბამისი საგადასახადო პერიოდის მიხედვით, ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. ანალოგიური წესი გამოიყენება მეწარმე ფიზიკური პირის მიმართ, თუ საგადასახადო აღრიცხვაზე მისი აყვანა განხორციელდა კალენდარული წლის დაწყების შემდეგ.

მაგალითი: 10

საწარმო დაფუძნდა 2006 წლის აპრილში.

მოცემულ შემთხვევაში, მას 2006 წლის 15 ივნისისათვის მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. საწარმო 2006 წლის მიხედვით მის ბალანსზე რიცხულ აქტივებზე ქონების გადასახადს გადაიხდის 2007 წლის 1 აპრილამდე.

10. თუ დასაბეგრი ქონება ადგილობრივი თვითმმართველობის რამდენიმე სუბიექტის ტერიტორიაზე განთავსებული, აქტივების ღირებულება განისაზღვრება ცალკეული სუბიექტების ტერიტორიაზე განთავსებული ქონების მიხედვით. ამასთან, პირი დეკლარაციას საგადასახადო ინსპექციაში წარადგენს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით. თავის მხრივ, შესაბამისი სუბიექტების ადგილობრივ ბიუჯეტებში ქონების გადასახადის გადახდევინება ხორციელდება ამავე საგადასახადო ინსპექციის მეშვეობით.

მაგალითი: 11

ფიზიკურ პირს, რომელიც საგადასახადო აღრიცხვაზე იმყოფება ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება გააჩნია როგორც ქ. თბილისში, ასევე ქ. ქუთაისში.

მოცემულ შემთხვევაში, პირი ქონების გადასახადის შესახებ დეკლარაციას წარადგენს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში. ამასთან, დეკლარაციის VI ნაწილში - "ქონების გადასახადის განაწილება ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების ტერიტორიების მიხედვით" ცალკე გამოიყოფა ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი თანხა. რის მიხედვითაც, გადასახადის გადასახდელის მიერ ორივე ბიუჯეტის სასარგებლოდ (იგულისხმება ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტები) ქონების გადასახადის გადახდევინება განხორციელდება ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მეშვეობით.

მუხლი 6. ფიზიკური პირის მიერ, უძრავ ქონებაზე (გარდა მიწისა), რომელიც არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი.

1. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულებით გაცემული ქონებისა) გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადასახდელი ფიზიკური პირის ოჯახის წევრების მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- ა) 60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;
- ბ) 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტისა და არა უმეტეს 0,4 პროცენტისა;
- გ) 100 000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტისა და არა უმეტეს 0,8 პროცენტისა.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის:

- ა) ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, შესაბამისი ქონების ადგილმდებარეობისა და შესაძლო სარეალიზაციო ფასის გათვალისწინებით. საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება ქონების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი



ბელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, გადასახადის გადა-
მხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია (ნასყიდობის ფასი, აუდიტორის დასკვნა და სხვა
სარწმუნო ინფორმაცია).

ბ) ფიზიკური პირის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ შემო-
სავლეთში შეიტანება ყველა შემოსავალი (სარგებელი) საგადასახადო შეღავათების გათვალ-
ისწინების გარეშე, მათ შორის:

ბ.ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, გარდა დაქირავებულისათვის გადახდილი
სამიწვლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გან-
საზღვრული ნორმის ფარგლებში;

ბ.ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლებიც
დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;

ბ.გ) ნებისმიერი შემოსავალი (სარგებელი), რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავე-
ბით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემოსავლებში არ გაითვალისწინება ოჯახის
წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების
ღირებულება.

4. ფიზიკური პირის და მისი ოჯახის წევრების შემოსავლების მოცულობების განსაზღვრისას
გამოიყენება შემოსავლების მიღების საკასო მეთოდი.

5. ამ მუხლის მიხედვით განსაზღვრულ დაბეგვის ობიექტზე, ქონების გადასახადს შესაბამის
ტერიტორიაზე მოქმედი ვანაკეუთების მიხედვით გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო, ამ
მიზნით:

ა) გადასახადის გადამხდელი (გარდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა
და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა
და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახ-
ურეებისა) ვალდებულია საგადასახადო ორგანოში საგადასახადო წლის 1 მაისამდე წარადგი-
ნოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია და მასში ასახოს მხოლოდ დასაბეგრი
ქონების დასახელება და აღწერილობა, უძრავი ქონების ღირებულება და შეღავათი (დანართი 3).

ბ) საგადასახადო ორგანო, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კო-
რუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და
"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახ-
რეებისათვის, ქონების გადასახადს განსაზღვრავს "თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარ-
ეობისა და საფინანსო დეკლარაციების" და "საჯარო მოსამსახურეთა თავისი და ოჯახის
წევრთა შემოსავლებისა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების" მონაცემების საფუძველზე.
ამასთან, თუ დასახელებული პირებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით ქონების გადასახ-
ადში გათვალისწინებულია შეღავათი, მაშინ მათ დეკლარაციაში უნდა მიუთითონ აღნიშნულის
შესახებ.

6. გადასახადის გადამხდელის მიერ ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია საგადა-
სახადო ინსპექციას წარედგინება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსე-
ბობის შემთხვევაში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშნულთა არარსებო-
ბის შემთხვევაში - უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

მაგალითი: 12

გიორგის, რომელიც ცხოვრობს ქ. გორში, საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი და
აგარაკი. გიორგის ოჯახი შესდგება 5 წევრისაგან: პენსიონერი დედა, მუუღელ და 2 შვილი. 2006
წლის განმავლობაში გიორგის მუუღლეს, რომელიც პედაგოგია, ხელფასის სახით დაერიცხა და
მიიღო 1500 ლარი; დედამ პენსიის სახით მიიღო 280 ლარი; თავად გიორგიმ, რომელიც
ადვოკატია, საადვოკატო საქმიანობიდან მიიღო დასაბეგრი შემოსავალი (ერთობლივი შემო-
სავალი შემცირებული საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოკეითებით შე-

თბილისის მერია

ლაკათების გარეშე) 31000 ლარი; ამავე წელს გიორგიმ 30000 ლარად გაყიდა აგარაკი, რომელიც 2001 წელს ნაყიდი ჰქონდა 20000 ლარად.

მოცემულ შემთხვევაში, ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის გიორგის ოჯახის შემოსავალი 2006 წლისათვის იქნება 42780 ლარი (1500+280+31000+10000). შესაბამისად, ვინაიდან ოჯახის წლიურმა შემოსავალმა გადააჭარბა 40 000 ლარს, აღნიშნული პირი, როგორც ქონების მესაკუთრე, ვალდებულია 2007 წლის 1 მაისამდე ქონების გადასახადის დეკლარაცია წარადგინოს ქ. ვარის საგადასახადო ინსპექციაში. ამასთანავე, თუ დასახელებულ ოჯახის სხვა წევრთა საკუთრებაში ირიცხება უძრავი ქონება, მაშინ ისინიც ვალდებული არიან 2007 წლის 1 მაისამდე წარადგინონ ქონების გადასახადის დეკლარაციები.

7. თუ ოჯახის ორ და ორზე მეტ წევრს აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი, ამ პირთაგან ნებისმიერ სრულწლოვან ფიზიკურ პირს, უფლება აქვს წარადგინოს ქონების გადასახადის ერთიანი (საოჯახო) წლიური დეკლარაცია (დანართი 3), რომელშიც აისახება როგორც ამ პირის, ასევე ოჯახის სხვა წევრების დაბეგვრის ობიექტები. ამ შემთხვევაში დეკლარაციის წარმდგენ პირს,

ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით, ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით ენიჭება გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში ითვლება, რომ ოჯახის სხვა წევრმაც (წევრებმაც) შეასრულა (შეასრულეს) ქონების გადასახადის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულება. ამასთანავე, დეკლარაციაზე სავალდებულოა ოჯახის ამ წევრ(ებ)ის ხელის მოწერა.

8. თუ “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის, აგრეთვე “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურის ოჯახის სხვა წევრებს გააჩნიათ ქონების გადასახადით დასაბეგრი დაზოკუილებელი ობიექტი და თანამდებობის პირი (საჯარო მოსამსახურე) გადაწყვეტს, რომ მის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციებს დაბეგვრის მიზნებისათვის მიეცეს ერთიანი საოჯახოს სტატუსი, მაშინ დეკლარაციაზე სავალდებულოა ოჯახის ამ წევრ(ებ)ის ხელის მოწერა.

9. ამ მუხლით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე ფიზიკურ პირს უფლება აქვს არ წარადგინოს დეკლარაცია, თუ:

ა) საგადასახადო წლის წინა წელს ფიზიკური პირის ოჯახის შემოსავალები 40 000 ათას ლარს არ აღემატება, აგრეთვე თუ მას საკუთრებაში არ გააჩნია ამ მუხლით გათვალისწინებული ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი;

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარდგენილია ან დარიცხულია საგადასახადო ორგანოს მიერ და მომდევნო საანგარიშო პერიოდების მიხედვით არ ხდება დაბეგვრის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ გადამხდელს წარუდგინა “საგადასახადო მოთხოვნა”, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.

10. საგადასახადო ინსპექცია, ფიზიკური პირის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტში ასახული მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშებს და საგადასახადო წლის 1 ივლისამდე გადასახადის გადამხდელს წარუდგენს “საგადასახადო მოთხოვნას” ქონების გადასახადის მიხედვით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების შესახებ.

11. თუ ქონების გადასახადის გადამხდელი ფლობს ქონებას, რომელიც განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის რამდენიმე სუბიექტის ტერიტორიაზე, მაშინ გადასახა-

საკანონმდებლო



დის გადამხდელის მიერ ქონების გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხდება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსებობის შემთხვევაში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშნულთა არარსებობის შემთხვევაში დასაბეგრი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ინსპექცია დასაბეგრი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით ბიუჯეტის კუთვნილი თანხის გათვალისწინებით განახორციელებს დასაბეგრობებზე ქონების გადასახადის გაანგარიშებას და მის გადახდევინებას.

მაგალითი: 13

ფიზიკურ პირს, რომლის საცხოვრებელი ადგილი ქ. ბათუმია, საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება როგორც ქ. ბათუმში, ასევე ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში. პირის ოჯახის წევრთა შემოსავალმა 2006 წელს 40.0 ათას ლარს გადააჭარბა.

მოცემულ შემთხვევაში, ფიზიკური პირი ვალდებულია ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში 2007 წლის 1 მაისამდე წარადგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია. დეკლარაციაში უნდა აისახოს აგრეთვე ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ტერიტორიაზე პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მონაცემები. ამასთან, ბათუმის საგადასახადო ინსპექცია ვალდებულია წარდგენილი მონაცემების საფუძველზე გაანგარიშოს და სამივე ბიუჯეტის სასარგებლოდ (იგულისხმება ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტები) განახორციელოს ქონების გადასახადის გადახდევინება.

მაგალითი: 14

არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, რომლის საცხოვრებელ ადგილს ქ. მოსკოვი წარმოადგენს, საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება ქ. ბათუმში.

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული პირი ვალდებულია ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია წარადგინოს საქართველოს ტერიტორიაზე არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში.

მაგალითი: 15

მეწარმე ფიზიკური პირი საგადასახადო აღრიცხვაზე იმყოფება ქ. რუსთავში. მისი ოჯახის წლიურმა შემოსავალმა 2006 წელს შეადგინა 41 ათასი ლარი. აღნიშნულ პირს საკუთრებაში აქვს (გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებისა) უძრავი ქონება ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში.

მოცემულ შემთხვევაში, მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციაში 2007 წლის 1 მაისამდე წარადგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია, რომელშიც უნდა აისახოს ქ. რუსთავის და ქ. თბილისის ტერიტორიაზე ამ პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცემები. თავის მხრივ, აღნიშნულის საფუძველზე ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია როგორც ქ. რუსთავის, ისე ქ. თბილისის ბიუჯეტების სასარგებლოდ განახორციელებს გადამხდელის მიერ ქონების გადასახადის გადახდევინებას.

12. ფიზიკური პირი, უძრავ ქონებაზე (გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონებისა) ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა.

13. თუ გადასახადით დასაბეგრი უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი) შექმნილი, რეალიზებული (გასხვისებული ან განადგურებული) ან შექმნილი და რეალიზებული (გასხვისებული ან განადგურებული) იქნა კალენდარული წლის დაწყების შემდეგ, ამ წელს საგადასახადო პერიოდი ამ ქონებაზე განისაზღვრება გადამხდელის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად. ამასთან, თუ ქონება შექმნილია თვის პირველ ნახევარში ან რეალიზებულია თვის მეორე ნახევარში, მაშინ

საქანონმდებლო სიხსენი

გადასახადის გაანგარიშებისას შექენის და რეალიზების თვეები ჩაითვლება სრულ თვეებად.

მაგალითი: 16

ფიზიკურმა პირმა მის საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი) გაასხვისა 2007 წლის 12 თებერვალს და ამავე წლის 18 აპრილს შეიძინა სხვა ბინა.

მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ პირს, როგორც უძრავი ქონების გადასახადის გადამხდელს, 2007 წლის 1 მაისამდე საგადასახადო ორგანოში წარსადგენი დეკლარაციის მიხედვით, ქონების გადასახადი გასხვისებულ საცხოვრებელ სახლზე გადახდება ერთ თვეზე - იანვარზე გაანგარიშებით, ხოლო შექენილ ქონებაზე - 8 თვეზე (მაისი - დეკემბერი) გაანგარიშებით.

მუხლი 7. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მსუბუქ ავტომობილებზე ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მსუბუქ ავტომობილებზე (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი) ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია მათი სახეობის, ძრავის მოცულობის და ხნოვანების მიხედვით და შეადგენს არაუმეტეს:

	მსუბუქი ავტომობილის სახეობა ძრავის მოცულობის მიხედვით	მსუბუქი ავტომობილის ხნოვანება კალენდარული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადასახადის ოდენობა (ლარებში)
1	2000 სმ3-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	50
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	40
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	30
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	20
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	10
		6 წელზე მეტი	5
2	2001 სმ3-დან 3000 სმ3-მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	150
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	130
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	110
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	80
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	25
		6 წელზე მეტი	5
3	3000 სმ3-ზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	300
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	250
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	200
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	100
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	50
		6 წელზე მეტი	5

საკანონმდებლო სიახლენი

2. ამ მუხლის მიხედვით განსაზღვრულ დაბეგერის ობიექტზე ქონების გადასახადი შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით გამოიანგარიშება და გადაიხდება გადამხდელის მიერ (გარდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისა). 3. გადასახადის გადამხდელი (გარდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისა) ვალდებულია საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსებობის შემთხვევაში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშნულ არარსებობის შემთხვევაში დასაბეგრი ქონების ადგილმდებარეობის (რეგისტრაციის) მიხედვით საგადასახადო წლის 1 მაისამდე წარადგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია (დანართი 3)4. "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისათვის ამ მუხლის მიხედვით განსაზღვრულ დაბეგერის ობიექტზე, ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო "თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების" და "საჯარო მოსამსახურეთა თავისი და ოჯახის წევრთა შემოსავლებისა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების" მონაცემების საფუძველზე. 5. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (რომელიც არ ექვემდებარება გზისთვის ვარგისიანობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას), ქონების გადასახადის გადახდა ხდება ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, ხოლო თუ დაბეგერის ობიექტის გასხვისება აღნიშნულ ვადამდე ხდება - მარგისტრიტზე აღებულ ორგანოში რეგისტრაციამდე ამ შემთხვევაში ქონების მიმღებს მიმდინარე კალენდარული წლისათვის დაბეგერის ობიექტის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა. ამ მუხლის ნორმების გათვალისწინებით, მსუბუქ ავტომობილებზე ქონების გადასახადის კუთხით საგადასახადო ანგარიშგება (ერთიანი საოჯახო დეკლარირება) და გადასახადის ადმინისტრირება ხორციელდება ამ ინსტრუქციის მეორე მუხლით გათვალისწინებული საერთო წესებით.

მუხლი 8. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ იახტებზე (კატარღებზე), თვითმფრინავებსა და შეეულმფრენებზე გადასახადის გამოიანგარიშებისა და გადახდის წესი

1. საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე), თვითმფრინავებსა და შეეულმფრენებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები დიფერენცირებულია სატრანსპორტო საშუალების სახეობისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით:

ანალიტიკური

საკანონმდებლო სიახლენი

სატრანსპორტო საშუალების სახეობა	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდი	გადასახადის განაკვეთი ძრავის 1 ცხენის ძალაზე წელიწადში
1. იახტა (კატარღა)	8903 10 900 00 8903 92 100 00 8903 92 990 00 8903 99 990 00	არანაკლებ 3 ლარისა და არაუმეტეს 7 ლარისა
2. თვითმფრინავი	8802 20 8802 30 8802 40	არანაკლებ 2 ლარისა და არაუმეტეს 5 ლარისა
3. შეუულმფრენი	8802 11 8802 12	არანაკლებ 2 ლარისა და არაუმეტეს 5 ლარისა

ახალი ეკონომისტი

2. ამ მუხლის მიხედვით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე ქონების გადასახადი შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით გამოიანგარიშება და გადაიხდება გადამხდელის მიერ (გარდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისა).

3. გადასახადის გადამხდელი (გარდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისა) ვალდებულია საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ადრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსებობის შემთხვევაში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშულთა არარსებობის შემთხვევაში დასაბეგრი ქონების ადგილმდებარეობის (რეგისტრაციის) მიხედვით საგადასახადო წლის 1 მაისამდე წარადგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია (დანართი 3).

4. "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისათვის ამ მუხლის მიხედვით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე, ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო "თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების" და "საჯარო მოსამსახურეთა თავისი და ოჯახის წევრთა შემოსავლებისა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების" მონაცემების საფუძველზე.

5. ქონების გადასახადის გადახდა ხდება ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

6. ამ მუხლის ნორმების გათვალისწინებით, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ იახტებზე, (კატარღებზე), თვითმფრინავებსა და შეუულმფრენებზე ქონების გადასახადის კუთხით საგადასახადო ანგარიშგება (ერთიანი საოჯახო დეკლარირება) და გადასახადის აღმინისტრირება ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საერთო წესებით.

საკანონმდებლო სიასლენი

მუხლი 9. მიწახე ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწახე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

ა) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	მიწის ხარისხი	
	ქარგი	მწირი
1. თბილისი, მარნეული	57	31
2. ბოლნისი, გარდაბანი	52	27
3. რუსთავი	51	27
4. ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, თჩაშირე, სოხუმი	51	27
5. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	44	24
6. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	43	22
7. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი	39	21
8. კასპი, თეთრიწყარო, სამტრედია	38	20
9. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	36	20
10. ქურთა, წაღკა	34	19
11. აბაშა, ზუგდიდი	34	18
12. ახალქალაქი, ახალციხე	34	19
13. მარტვილი, სენაკი, სობი, ფოთი	33	17
14. ნინოწმინდა	33	17
15. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	30	15
16. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	28	15
17. წაღენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	24	13
18. სანხერე, ცაგერი, ცხინვალი	22	12
19. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	18	11
20. ასპინძა, ტყებუღი, ხულო, ქედა	17	9
21. შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, ყაზბეგი, ჯავა	13	8

ახალი ეკონომისტი

საკანონმდებლო სიასტენი

ბ) ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის:

ასალი პარონოსტი

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)			
	სათი ბები	საძოვრები	გაკულტურებული	
			სათი ბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, თზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	6	3	8	4
2. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყე, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	4	2	7	3
3. ამბროლაური, ახმეტა, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	2,5	1,5	4	2

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის მიწის ხარისხისა და მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით. ამასთან, ეს განაკვეთები არ შეიძლება იყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი საბაზისო განაკვეთის 50 პროცენტზე ნაკლები და 150 პროცენტზე მეტი.

3. გადასხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის მიწის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, სათანადო ნორმატიული აქტით ზემოაღნიშნული დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრამდე მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ხარისხის შესახებ მოიპოვებენ საგადასახადო ორგანოები. ასეთი მონაცემების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთების საშუალო არითმეტიკული სიდიდე. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ა) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების ნაკვეთები დაიბეგრება კარგი ხარისხის მიწის ნაკვეთებისათვის განსაზღვრული გადასახადის განაკვეთებით;

ბ) ბუნებრივი სათიბები და საძოვრები დაიბეგრება გააკულტურებული მიწის ნაკვეთისათვის განსაზღვრული გადასახადის განაკვეთებით.

4. ბუნებრივი სათიბებისათვის და საძოვრებისათვის დადგენილი განაკვეთით იბეგრება ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძ-



საკანონმდებლო სიახლენი

ველზე გამოყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

5. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გამოიანგარიშება გადასახადის განაკვეთის გამრავლებით მიწის ნაკვეთის ფართობზე (მეტრებში).

6. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დადგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით.

7. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთან, ეს ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1.5-ზე მეტი.

8. ზონის საზღვრების დადგენა და მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის დოფერენცირება ხდება ტერიტორიის ექსპერტული სოციალურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე, დასახლებული პუნქტის განაშენიანების გეგმის ან სხვა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მონაცემთა გათვალისწინებით, რომელთაც ამტკიცებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები.

9. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გამოიანგარიშება გადასახადის საბაზისო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტსა და მიწის ნაკვეთის ფართობზე, ფორმულით:

$$მქგ = [(მ/ფ \times X \text{ გსგ}) \times \text{ტ/კ}]$$

სადაც:

მქგ - მიწაზე ქონების გადასახადის ოდენობა;

გსგ - გადასახადის საბაზისო განაკვეთი;

ტ/კ - ტერიტორიული კოეფიციენტი;

მ/ფ - მიწის ფართობი კვ.მ-ში.

10. ამ მუხლის მიხედვით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე, ქონების გადასახადს შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო. ამ მიზნით:

ა) გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები (გარდა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისა) ვალდებული არიან საგადასახადო ორგანოში საგადასახადო წლის 1 მაისამდე წარადგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია და მასში ასახოს მხოლოდ მიწის ნაკვეთის მდებარეობა, კატეგორია, ფართობი და შეღავათი (დანართი 3). ამასთან, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულება წარმოეშვათ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან მიმართებაში, უფლება აქვთ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო წლის 1 მაისამდე წარადგინონ ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია გამარტივებული ფორმით (დანართი 7).

ბ) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ მიწის ნაკვეთზე გადასახადის გადახდელი (საქარმო, მეწარმე ფიზიკური პირი) ვალდებულია საგადასახადო წლის 1 აპრილამდე, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია და მასში ასახოს მხოლოდ მიწის ნაკვეთის მდებარეობა, კატეგორია, ფართობი და შეღავათი (დანართი 1).

გ) საგადასახადო ორგანო, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურეებისათვის, მიწაზე ქონების გადასახადს განსაზღვრავს "თანამდებობის პირთა

ახალი კანონისათვის



საკანონმდებლო სიხსენი

ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების" და "საჯარო მოსამსახურეთა თავისი და ოჯახის წევრთა შემოსავლებისა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების" მონაცემების საფუძველზე. ამასთან, დასახელებულმა პირებმა დეკლარაციაში დამატებით უნდა მიუთითონ (შესაბამის შემთხვევაში წარმოადგინონ დოკუმენტები) მიწის ნაკვეთის დანიშნულების (ხასოფლო-სამეურნეო; არასასოფლო-სამეურნეო), კატეგორიის (სახნაუკი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, ბუნებრივი სათიბები, ხაძორები) და ხარისხის (კარგი, მჭირი, გაკულტურებული) შესახებ, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობით ქონების გადასახადში კუთვნილი შეღავათის თაობაზე.

11. გადასახადის გადამხდელის მიერ ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია საგადასახადო ინსპექციას წარედგინება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსებობის შემთხვევაში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშნულთა არარსებობის შემთხვევაში - მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით.

12. მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვის საფუძველია მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწით სარგებლობის უფლებას, ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივი მფლობელობა.

13. თუ გადასახადით დასაბუერი მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი შექმნილი, რეალიზებულ ან (გასხვისებულ) ან შექმნილი დარეალიზებული (გასხვისებულ) იქნა კალენდარული წლის დაწყების შემდეგ, ამ წელს საგადასახადო პერიოდი ამ ქონებაზე განისაზღვრება გადამხდელის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად. ამასთან, მიწაზე ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულება პირს ეკისრება მიწის საკუთრების ან მიწით სარგებლობის უფლების წარმოშობის, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფაქტობრივი მფლობელობის შემთხვევაში, ფაქტობრივ მფლობელად გაცდომის თვის მომდევნო თვიდან.

მაგალითი: 17

ფიზიკურმა პირმა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გაასხვისა 2007 წლის 12 თებერვალს და ამავე წლის 2 აპრილს შეიძინა სხვა მიწის ნაკვეთი.

მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ პირს, 2007 წლის 1 მაისამდე საგადასახადო ორგანოში წარსადგენი დეკლარაციის მიხედვით, ქონების გადასახადი გასხვისებულ მიწის ნაკვეთზე გადახდება ორ თვეზე - იანვარი-თებერვალი, ხოლო შექმნილ ქონებაზე მხოლოდ 8 თვეზე (მაისი - დეკემბერი) გააჩნარიშებით.

14. თუ ოჯახის ორ და ორზე მეტ წევრს აქვს ამ მუხლით განსაზღვრული დაბეგერის ობიექტი, ამ პირობაგან ნებისმიერ სრულწლოვან ფიზიკურ პირს, უფლება აქვს წარადგინოს ქონების გადასახადის ერთიანი (საოჯახო) წლიური დეკლარაცია (დანართი 3), რომელშიც აისახება როგორც ამ 3

ორის, ასევე ოჯახის სხვა წევრების დაბეგერის ობიექტები. ამ შემთხვევაში დეკლარაციის წარმდგენ პირს, ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით, ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით ენიჭება გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში ითვლება, რომ ოჯახის სხვა წევრმაც (წევრებმაც) შეასრულა (შეასრულეს) ქონების გადასახადის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულება. ამასთანავე, დეკლარაციაზე სავალდებულოა ოჯახის ამ წევრის (წევრების) ხელის მოწერა.

15. თუ "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის, აგრეთვე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურის ოჯახის სხვა წევრებს გააჩნიათ ქონების გადასახადით დასაბუერი დამოუკიდებელი ობიექტი (მიწის ნაკვეთი) და თანამდებობის პირი (საჯარო მოსამსახურე) გადაწყვეტს, რომ მის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციებს დაბეგერის მიხედვით

საკანონმდებლო სიხსენი

ისათვის მიეცეს ერთიანი საოჯახოს სტატუსი, მაშინ დეკლარაციაზე სავალდებულოა ოჯახის ამ წევრის (წევრების) ხელის მოწერა.

16. საგადასახადო ორგანო ამ მუხლის მე-10 პუნქტში ასახული მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშებს და საგადასახადო წლის 1 ივლისამდე გადასახადის გადახდელს წარუდგენს "საგადასახადო მოთხოვნას" ქონების გადასახადის მიხედვით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების შესახებ.

17. 2007 წელს, თუ ფიზიკური პირი არ წარადგენს ამ მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დეკლარაციას, ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო საგადასახადო ვალდებულებებს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

18. თუ ქონების გადასახადის გადახდელი ფლობს ქონებას, რომელიც განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის რამდენიმე სუბიექტის ტერიტორიაზე, მაშინ გადასახადის გადახდელის მიერ ქონების გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხდება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მისი არარსებობის შემთხვევაში - საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ზემოაღნიშნულა არარსებობის შემთხვევაში დასაბეგრი ქონების აღვილმდებარეობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ინსპექცია დასაბეგრი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით ბიუჯეტის კუთვნილი თანხი ს გათვალისწინებით, განახორციელებს დასაბეგრ ობიექტზე ქონების გადასახადის გაანგარიშებას და მის გადახდევინებას.

მაგალითი: 18

ფიზიკურ პირს, რომლის საცხოვრებელი ადგილი ქ. ბათუმი, საკუთრებაში გააჩნია მიწის ნაკვეთი როგორც ქ.ბათუმში, ასევე ქ. ქუთაისსა და ქ.თბილისში.

მოცემულ შემთხვევაში, ფიზიკური პირი ვალდებულია ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში 2007 წლის 1 მაისამდე წარდგინოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია. დეკლარაციაში უნდა აისახოს აგრეთვე ქ.ქუთაისის და ქ.თბილისის ტერიტორიაზე პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მონაცემები. ამასთან, ბათუმის საგადასახადო ინსპექცია ვალდებულია წარდგინდოს მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშოს და სამივე ბიუჯეტის სასარგებლოდ (იგულისხმება ქ.ბათუმის, ქ.ქუთაისის და ქ.თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტები) განახორციელოს ქონების გადასახადის გადახდევინება.

19. როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გადაიხდება არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა.

20. ქონების გადასახადით დასაბეგრი მიწის ფართობი მოიცავს შენობა-ნაგებობებით დაკავებულ, ასევე მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობების სანიტარიულ-ტექნიკურ ზონას.

21. შენობა-ნაგებობებით დაკავებულ მიწის ფართობზე, რომელიც რამოდენიმე პირის საკუთრებაშია, ქონების გადასახადი გადაიხდება ცალ-ცალკე ნაგებობისათვის, თითოეული პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად.

მაგალითი: 19

მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სამი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 150კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა. აღნიშნულიდან ერთ ფიზიკურ პირს დაკავებული აქვს 70კვ.მ, მეორეს - 45კვ.მ, ხოლო მესამეს - 35კვ.მ-ის ფართი.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი პირი ვალდებულია გადაიხადოს მიწაზე ქონების მთლიანი გადასახადის [(70 / 150) X 100] 46,7%, მეორემ - [(45 / 150) X 100] 30%, ხოლო მესამემ - [(35 / 150) X 100] 23,3%.

22. ამ მუხლით განსაზღვრულ დაბეგრის ობიექტზე ფიზიკურ პირს უფლება აქვს არ წარადგინოს დეკლარაცია, თუ:

საკანონმდებლო სიასი

ა) ამავე ინსტრუქციის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით, საგადასახადო ვალდებულება არ წარმოუშობა;

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარმოდგენილია ან ღარიბი საგადასახადო ორგანოს მიერ და მომდევნო საანგარიშო პერიოდების მიხედვით არ ხდება დაბეგვრის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ გადამხდელს წარუდგინა "საგადასახადო მოთხოვნა", რომლის მიხედვითაც საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებული (დარიცხვლის) ოქლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.

მუხლი 10. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

1. შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება უკლია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთებისა) ან/და ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი, თუ ამ პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

ბ) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი), რომლის ფართობი არ აღემატება 30 კვადრატულ მეტრს.

მაგალითი: 20

200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აშენებულია ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის საერთო ფართი 400 კვ.მ-ია. შენობა სამი ფიზიკური პირის თანასაკუთრებაშია და მასში ფართი განაწილებულია შემდეგი პროპორციით: პირველზე 150 კვ.მ; მეორეზე - 200 კვ.მ, ხოლო მესამეზე - 50 კვ.მ.

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ ფიზიკურ პირთაგან თითოეული ქონების გადასახადს გადაიხდის მის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობის პროპორციულად, კერძოდ: პირველი პირი გადაიხდის მილიანი გადასახადის $[(150 / 400) \times 100] 38\%$ -ს, მეორე - $[(200 / 400) \times 100] 50\%$ -ს, ხოლო მესამე პირი - $[(50 / 400) \times 100] 12\%$ -ს.

ამასთან, ვინაიდან საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია და მესამე პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს მხოლოდ $(50/2) 25$ კვ.მ-ს, შესაბამისად მესამე პირზე გავრცელდება ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. ასევე აღნიშნულ პირს არ წარმოეკმნება მიწაზე ქონების გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება.

გ) 2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების საგამომცემლო საქმიანობით დაკავებული პირების ბალანსზე არსებული და ამ საქმიანობაში უშუალოდ გამოყენებული ქონება;

დ) მიწის ის ფართობები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავებული სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობისათვის, მათ შორის ლიანდაგებისა და სალიანდაგო დისტანციების, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების, რკინიგზის

ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობებისა და კომუნიკაციების, საქართველოს სარკინიგზო კოდექსით განსაზღვრული გასხვების ზოლისა და დამცავი ზონის მიერ, გარდა სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სპორტული და უშუალოდ რკინიგზის ფუნქციონირებასთან კავშირში არმყოფი ობიექტების მიერ დაკავებული მიწებისა. მიწის გადასახადისაგან აერთვე არ თავისუფლდება რკინიგზის ვაგზის შენობის ქვეშ არსებული მიწის ფართობები;

საკანონმდებლო სიასლენი



ე) ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა;

ვ) მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული საგენტოს საექტალონო და სასტენდო მოწყობილობები;

თ) ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა; იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციის ქონების შემადგენლობიდან შეუძლებელია ცალკე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების გამოყოფა (გამოყვანა), ქონების გადასახადით დაბეგრვის მიზნით დასაბეგრი ქონების ღირებულება განისაზღვრება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავლებში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად. ამასთან, ასეთ გაანგარიშებაში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ ის ქონება, რომელიც ნაწილობრივ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო ქონების ის ნაწილი, რომელიც სრულად გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, გაანგარიშებაში ჩაირთვება მთლიანად.

მაგალითი: 21

ორგანიზაციის შენობიდან, რომლის საერთო ფართობი 2000 კვმ და საბაღანსო ღირებულება - 1000000 ლარი, იჯარით გაცემული, ანუ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული აქვს შენობის ნაწილი, 450 კვმ ფართობით.

მოცემულ შემთხვევაში, დასაბეგრი ქონების (შენობის) ღირებულება შეადგენს $[(450 / 2000) \times 1000000] = 225000$ ლარს.

მაგალითი: 22

თეატრს, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და სავადასახადო კოდექსის მიხედვით განიხილება როგორც ორგანიზაცია, ბაღანსზე ერიცხება 2 მილიონი ლარის ქონება. სავადასახადო წლის განმავლობაში თეატრის შემოსავალმა შეადგინა 250 ათასი ლარი, მათ შორის ბილეთების რეალიზაციიდან 50 ათასი ლარი, ხოლო საბიუჯეტო ასიგნების სახით დაფინანსებამ 200 ათასი ლარი.

მოცემულ შემთხვევაში დასაბეგრი ქონების ღირებულება შეადგენს

$$[(50.0 / 250.0) \times 100] = 20\%, [(2000 \times 20\%) / 100] = 400 \text{ ათას ლარს.}$$

ი) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობა) საწარმოებლად გამოყენებული ქონება;

კ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა; იმ შემთხვევაში, როცა საბიუჯეტო ორგანიზაციაზე გამოყოფილი მიწის ფართობიდან შეუძლებელია ცალკე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწის ფართობის გამოყოფა, მიწაზე ქონების გადასახადით დაბეგრვის მიზნით დასაბეგრი მიწის ფართობი განისაზღვრება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავლებში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად. ამასთან, გადასახადის გაანგარიშებაში პროპორციულ მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ მიწის ის ფართობი, რომელიც ნაწილობრივ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის,

სახელი ეკონომისტი

საკანონმდებლო სიახლენი

ხოლო მიწის ის ნაწილი, რომელიც სრულად გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, განგარიშებაში ჩაირთვება მოლიანად, პროპორციის გარეშე.

მაგალითი: 23

საბუჯეტო ორგანიზაციის შენობიდან, რომლის საერთო ფართობი 2500 კვ.მ და განთავსებულია 8000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულია შენობის ნაწილი, ფართობით 500 კვ.მ.

მოცემულ შემთხვევაში, დასაბგერი მიწის ფართობი შეადგენს

$$[(500 / 2500) \times 100] = 20\%, [(8000 \times 20\%) / 100] 1600 \text{ კვ.მ.ს.}$$

ლ) ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;

მ) ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით ან/და სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანერიუმებით, სკვერებით, ხეივანებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუწყებო პარკებით, ბაღებით და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

ნ) ქალაქის წყალსაცავებით და მათი აკვაროებით დაკავებული ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ო) ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

პ) სასამელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

ჟ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

რ) საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო აღმთ მცურავი გემები, გარდა ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტისა.

ს) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;

ტ) ჭურთის, ვრდებისა და თიღის თემები, სოფლები ავნევი და ნული - დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;

უ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოყენებული სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

ფ) ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე

სახალი მკონომისტ

ნახადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებელი მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ქ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

ღ) ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

ყ) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 პექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

შ) „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე 2014 წლის 1 იანვრამდე „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამელიორაციო ასოციაციებისათვის გადაცემული, მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

ჩ) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები – პრივატიზაციის წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

ც) „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კაკახიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი – მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ

მიწის ნაკვეთებზე, სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

ძ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;

ო) პიდრომეტროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

პ) სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;


ჟ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

რ) საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო აღმით მცურავი გემები, გარდა ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვის ობიექტისა.

ს) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;

ტ) ქურთის, ერედვისა და თიღვის თემები, სოფლები ავნევი და ნული – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;

ახალი პარლამენტი



სახალი ეკონომიკა

უ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოუყენებელი სათიბები, სარეკლავიციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

ფ) ეს მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ქ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები - მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

ღ) ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები - დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

ყ) 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

შ) „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე 2014 წლის 1 იანვრამდე „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამელიორაციო ახორციელებისათვის გადაცემული, მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

ჩ) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები - პრივატიზაციის წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

ც) „მალაღმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი - მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ

მიწის ნაკვეთებზე, სამხრეთ საქართველოს მალაღმთიანი რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

ძ) სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;

წ) სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჭ) სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სახელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტიდან;

ხ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოებების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების- ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიან-



საკანონმდებლო სიასქენი

თი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწვეიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჯ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მოწვეული მოსავლის ნახევარზე მეტიც განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ – სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;

კ) სამონადირეო მეურნეობების მიერ დაკავებული მიწები.

2. დადგენილი საგადასახადო შედეგათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შედეგათების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს) ან/და შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

3. 2009 წლის 1 იანვრამდე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირები იჯარით, ქირით, უსუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულებით გაცემულ ქონებაზე. ამასთანავე, თუ აღნიშნული ქონება გამოყენებულია დამქირავებლის (მოიჯარის) მიერ სამეწარმეო საქმიანობისათვის, ქონების გადასახადის საგადასახადო ვალდებულება ეკისრება დამქირავებელს (მოიჯარეს), ქონების საბაზრო ღირებულების არაუმეტეს 1%-სა.

მაგალითი: 24

ფიზიკურმა პირმა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი გააქირავა საწარმოზე, რომელიც აღნიშნულ ფართს იყენებს ოფისისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, დამქირავებელ ფიზიკურ პირს 2009 წლის 1 იანვრამდე აღნიშნული ფართის მიხედვით ქონების გადასახადი არ გადახდება. ამასთანავე, დამქირავებლის მიერ აღნიშნული ქონების საოფისე მიზნებისათვის გამოყენება, განიხილება ქონების სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებად და დამქირავებელი 2009 წლის 1 იანვრამდე ამ ქონების მიხედვით დაიბეგრება ქონების გადასახადით.

დანართი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10

საკანონმდებლო

“ალმასის საბადო”

ანუ

თქმულება ალი ჰაფედის შესახებ

ახალი ამონაბეჭდი

ამერიკელი ბიზნესმენი - მარვინ სმო-
ლი ისხენებს იმ ლექციის შედეგად მიღე-
ბულ შთაბეჭდილებებს, რომელსაც კითხ-
ულობდა რასეულ კონსულს, სახელწოდებ-
ით - “ალმასის საბადო”. მარვინ სმოლი
“მაგიურ ძაღას” უწოდებს იმას, რამაც მი-
იყვანა ამ ლექციის მოსასმენად და ამ-
ბობს, რომ “ლექციის მოსმენის შემდეგ
მომდევნო დღიამდე ძლივს დაველოდე, თუ
როდის გაიღებოდა წიგნების მაღაზია, სა-
დაც უნდა მეყიდა მისი ლექციის ასლი,
რათა რამდენჯერმე წაძეკოთხა იგი.”

ლექციამ სახელწოდება - “ალმასის
საბადო” - მიიღო თქმულებიდან ფერმერ
ალი ჰაფედის შესახებ, რომელიც მდიდრუ-
ლად ცხოვრობდა ძველ ინდოეთში. მაშ
მოუსმინოთ თქმულებას:

ერთ მშვენიერ დღეს ალი ჰაფედთან
მივიდა ბუდისტო მღვდელი და მოუყვა მას,
თუ როგორ შეიქმნა სამყარო: “. . . ოდეს-
ღაც დედამიწა იყო მხოლოდ ბურუსი. იყო
ნება უფლისა და იქცა იგი ცეცხლის ბირთ-
ვად, რომელიც დაჰქროდა სამყაროში სან-
ამ წვიმა არ მოვიდა და არ გააცივა მისი
ზედაპირი. შემდგომ ცეცხლმა გაარღვია
მიწის ზედაპირი, ამოხეთქა ზემოთ და გაჩნ-
და მთა და ბარი, მინდვრები და მდელო.

როდესაც გავარჯარებული მასა, რომელ-
იც მოედინებოდა მიწაზე, სწრაფად ცივდე-
ბოდა და იგი გადაიქცა გრანიტად. ის
რომ ნელა გაცივებულიყო, მაშინ ის გადა-
იცვოდა სპილენძად, ვერცხლად ან ოქროდ.
ხოლო ოქროს შემდეგ შეიქმნა ალმასი.
“ალმასი, - უთხრა ბრძენმა ალი ჰაფედს, -
ესაა მზის სხივის გაცივებული წვეთი.
შენ რომ ფლობდე ხელის დიდი თითის
ზომის ალმასს, მაშინ შენ შეგეძლო ყვე-

ლაფერი გეყიდა ირგვლივ, გარშემო. მა-
გრამ შენ რომ ფლობდე ალმასის საბადოს,
შენ შეგეძლო ყველა შენი შვილები ტახტზე
დაგესვა, და ეს ყველაფერი უზარმაზარი
სიმდიდრის წყალობით.”

ალი ჰაფედმა იმ საღამოს ყველაფერი
შეიტყო ალმასის შესახებ, თუკი რაიმე
შეიძლებოდა გაეგო.

მთელი ღამის განმავლობაში მას თვა-
ლი არ მოუსუტავს. ის ფიქრობდა მხოლოდ
ალმასის საბადოზე. დილით ადრე მან
გააღვიძა ბუდისტო მღვდელი და დაუწყო
ხვეწა, ეთქვა მისთვის თუ სად შეიძლე-
ბოდა ეპოვა ალმასი. მღვდელი თავიდან
უარზე იყო, მაგრამ ალი ჰაფედი ისე და-
ჟინებით თხოვდა, რომ მოხუცმა კაცმა
ბოლოსდაბოლოს უთხრა: “კარგი, შენ უნდა
მოიძიო მდინარე, რომელიც მოედინება
თეთრ ქვიშებში მაღალ მთებს შორის. იქ,
ამ თეთრ ქვებში, შენ იპოვი ალმასს.”

ალი ჰაფედმა გაეყიდა თავისი ფერმა,
თავისი ოჯახი დაუტოვა მეზობელს და
წავიდა ალმასის საძებნელად. ის მიდი-
დოდა შორს და შორს, მაგრამ მანინც ვერ
შეძლო ეპოვა საგანძური. მან სრული სა-
სოწარკვეთით მოიკლა თავი, - ზღვაში
გადავარდა.

მაგრამ ეს ისტორიის დასასრული კი არ
არის, არამედ მხოლოდ დასაწყისია. ერთხ-
ელ იმ კაცმა, ვინც ალი ჰაფედის ფერმა
იყიდა, გადაწყვიტა აქლემისათვის წყალი
დაეღვინებინა ზღვაში. და როცა აქლემი
დაეწავა რუს, მან უცბად შენიშნა საო-
ცარი ციმციმი, რომელიც ამოდიოდა რუს
ფსკერზე თეთრი ქვიშიდან. მან ჩაყო ხელი
წყალში და ამოიღო იქიდან ქვა, რომლის-

ბიზნესის ბარშემო

განაც მოდიოდა ეს ცეცხლოვანი ციალი. მოიტანა სახელში ის უჩვეულო ქვა და დადო ბუხრის თავზე.

გარკვეული დროის შემდეგ ახალ მებატრონესთან სტუმრად მოვიდა იგივე ძველი ბუღისტი მღვდელი. კარი გაიღო თუ არა, მან მაშინვე დაინახა ციალი ბუხრის თავზე. მივარდა მასთან და შესძახა: “ეს ალმასია! ალი ჰაფედი დაბრუნდა.” – “არა, – უპასუხა ახალმა მებატრონემ, – ალი ჰაფედი არ დაბრუნებულა. ეს უბრალო ქვაა, რომელიც მე ვიპოვე ჩემს რუში.”

“შენ არა ხარ მართალი! – შესძახა აღფრთოვანებულმა მღვდელმა. – მე ათასი სხვა ძვირფასი ქვებისაგან ამოვიცნობ ალმასს. ვფიცავ ყველა წმინდანს, ეს ალმასია.”

შემდეგ ისინი წაიყიდნენ ბაღში და გადათხარეს მთელი თეთრი ქვიშა რუში. და იქ მათ აღმოაჩინეს ძვირფასი ქვები, უფრო მომსიბლავი და უფრო ფასიანი, ვიდრე პირველი. და სწორედ ამ ადგილას (და ეს სინამდვილეა და არა ზღაპარი -- მარეინ სმოლი) ნაპოვნია ყველაზე მშვენიერი ალმასები ყველა დროისა: ცნობილი *კოხინორი*, *იმედიის ცისფერი ალმასი* და ცნობილი *რევენტი*. ყველა ისინი ახლა ინახება ლუერში (საფრანგეთი).

იმის ნაცვლად, რომ ალი ჰაფედი წავიდა ცხრა მთას იქით, დაიტანჯა შიმშილისა და სიცივისაგან, და შემდეგ თავი მოიკლა უცხო მიწაზე, დარჩენილიყო სახელში და დაეწყო თხრა თავის საკუთარ სარდაფში, მინდორში ან ბაღში, ის იპოვიდა “ალმასის საბადოს”. მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ყოველი ფუტი* ინახავდა უამრავ სიმდიდრეს.

• ფუტი (ინგლ. foot – ფეხი, ტერფი) – სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში და რუსეთში – საზომთა მეტრული სისტემის შემოღებამდე;

შემოკლებით აღინიშნება ..1, 1 = 12 დიუმს = 0,3048 მეტრს.

• დიუმი (ჰოლანდ. – duim – დიდი თითი) – სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში, 1 დიუმი უდრის 1/12 ფუტს; და ძველ რუსულ სისტემაში; გაუქმდა 1918 წელს. 1 დიუმი უდრის 2,5 სანტიმეტრს.

დასკვნა: *ბიზნესი კეთება შეიძლება ყველგა, საკუთარ ეზოში, საკუთარ ქალაქში, საკუთარ გარემოში. ნუ ეძებთ მას სხვაგან.*

ბამარიწერეთ

საგარეო
ეკონომისტი

აქ წაიკითხავთ შემდეგ სიახლეებს:
- ეკონომიკა და ბიზნესი;
- აღრიცხვა და გადასახადები;
- ბანკები და ფინანსები.

თქვენ ასევე შეგიძლიათ:
- მოგწეროთ თქვენი შეხედულებები;
- დაგვისვათ შეკითხვები;
- გამოგვიგზავნოთ სტატიები.
ჩვენ ყველაფერს გავითვალისწინებთ.

ხელმოწერის ღირებულება:

3 თვე - 24 ლარი
6 თვე - 48 ლარი
9 თვე - 72 ლარი
12 თვე - 96 ლარი

ჩვენი რეკვიზიტებია:
თბილისი, ფურცვლადის ქ. №13
ტელ.: 822 984 982 / 855 277 554
ელ.ფოსტა: karchava-l@myofice.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge



ჩვენნი ავტორები

უ

ბულნაზი ეროვნული ცენტრი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

დავით ნარმანა

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პროფესორი.

სლავა ფეტილავა

პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი

ია ყოლბაია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

ახალი ეკონომისტი

თეიმურაზ შენბელია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის კათედრის გამგე, „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების ხელმძღვანელი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

ბიორბი შიხაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის ლექტორი, თბილისის ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი

ელენე ხარაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სრული პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი.

ელბუჯა ხოკრიშვილი

გერმანიის ქ. პოტსდამის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ჯამლეტ ჯანაჯღავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ბამომცემლობა „ლოი“ ბთავაზობი:
საბამომცემლო ჯდა
კოლიბრაფიულ მომსახურებას



თბილისი, ფურცელაძის ქ. №13
ტელ.: 822 984-982 / 822 990-576 / 855 277-554
ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
ვებ.გვერდი: www.loi.ge

ბ ა მ ო ი ვ ე რ ე ო

საგარეო

ეკონომისტი

აქ წაიკითხავთ შემდეგ სიახლეებს:
ეკონომიკა და ბიზნესი;
აღრიცხვა და გადასახადები;
ბანკები და ფინანსები
ხელმოწერის ღირებულებაა:

3 თვით - 24 ლარი | 9 თვით - 72 ლარი
6 თვით - 48 ლარი | 12 თვით - 96 ლარი

თბილისი, ფურცელაძის ქ. №13
ტელ.: 822 984-982 / 822 990-576 / 855 277-554
ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
ვებ.გვერდი: www.loi.ge

ბერნები +

თქვენი ჯანბრუნველობის
ბერნები

საინჟინრო სპეციალისტი
ქველი ჯიოსიანი



24საათი

დაბალი ფასები • ბერნბრუნველობის ხარისხი • ფართო სერვისები



ტელ: 2-70-03 7-47-91 7-30-00 5-04-07